№ 3004
ხუთშაბათი,
16 თებერვალი

ცნობის ფურცელი

№ 3004
ხუთშაბათი,
16 თებერვალი

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მ. თვეში: უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—15 კ., მეოთხე—10 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქციაში არ ინახავს ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

1906 წელს „ცნობის ფურცელი" სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი **გადიდებული** იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით	საზღვარ-გარედ გაგზავნით
ერთის წლით 6 მან.	ერთის წლით 11 მან.
ერთის თვით 50 კაპ.	ერთის თვით 1 მან.

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა მხატვარი ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი. „ცნობის ფურცლის" წლიურ ხელისმომწერთ ერთის მანეთის დამატებით გაეგზავნებათ იუმორისტული ჟურნალი „ნაპერწკალი".

ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ Пурцели".

„ცნობის ფურცელზე"

ხელის მოწერა მიიღება: **ჭიათურაში ბ-ნ სოფ. ტარიელიშვილთან** ჭიათურის საურთიერთო კრედიტის ბანკში. იქვე იყიდება ცალკე ნომრები. **ქუთაისში** ბ-ნ ის. კვიცარიძესთან. იქვე იყიდება ცალკე ნომრები.

Возобновляется подписка на газету

ВОЗРОЖДЕНІЕ

1-ый номеръ выйдетъ въ воскресенье, 19-го февраля.

Подписная плата, какъ для городскихъ, такъ и для иногороднихъ: до конца года—7 руб., допускается разсрочка: при подпискѣ 3 р. остальные къ 1 іюня, помѣсячно же по 1 руб. Отдѣльные №№ въ розничной продажѣ—5 коп.

Объявленія—строчка петита на I стр.—20 коп., на послѣдней—10 коп.

Адресъ редакціи: Большая ванкская, № 3.

კახეთის მევენახეთა საზოგადოების „კახეთი"-ს

გამგეობა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა 1906 წლის 15 მარტს დანიშნულია **საზოგადო კრება** ტფილისში დილის 10 საათზე საზოგადოების კანტორაში.

კრებამ უნდა განიხილოს: წლიური ანგარიში, 1905—1906 სამოქმედო წლის ხარჯთ-აღრიცხვა, მოხსენება კომისიისა შესახებ ღვინის დაფასების ინსტრუქციის შეცვლაზე; კითხვა განყოფილებების გახსნის შესახებ; განხილვა ინსტრუქციისა შესახებ საზოგადოების საქმეების წარმოებისა; საზოგადოების ახალ წევრების არჩევა; არჩევა ორი სარევიზიო წევრისა, ერთი გამგეობის წევრისა და ორი გამგეობის წევრების კანდიდატებისა. (ნ. 3—2)

საცეკვაო საღამო

შაბათს. 18 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, გამართავს ქართველ ქალთა წრე. ბილეთები მსურველთ შეუძლიათ იყიდონ: ავჭალის ქუჩაზე, № 15, სახლი ზალიევისა სადგ. მირიანაშვილისა. (1—58—1)

დაიკარგა კაცი

თელავში მცხოვრები სპირიდონ ლომიძე, რომელიც კარდენახიდან ჩამოიტანა ღვინოები და ჩააბარა ნავთლუღის სადგურზე, ეს მოხდა 2 თებერვალს. მას შემდეგ ლომიძე დაიკარგა უგზო-უკვლოდ. ვთხოვ ყველას, ვინც იცის იმის ავ-კარგი შემატყობინოს: კოჯორის ქუჩა, № 6, ნაფიცი ვექილი ყარაბეგოვი. ამბის მომტანი მიიღებს საჩუქარს. (1—57—1)

„**სამიწათ-მოქმედო და სახელოსნო გამასწორებელ კოლონიების კავკასიის საზოგადოების**" გამგეობა სთხოვს ბ. ბ. საზოგადოების წევრთ მობრძანდნენ სამოსამართლო პალატის სადგომში კვირას, 26 თებერვალს, 1906 წ. ნაშუადღევის 1-ლ საათზე, საზოგადოების ჩვეულებრივ კრებაზე დასასწრებლად.

განსახილველი საგნები:

1) 1905 წ. მოქმედების ანგარიში; 2) იმავ წლის ფულის ანგარიში; 3) 1906 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა; 4) სარევიზიო კომისიის ანგარიში; 5) საკითხი გამგეობის 4 წევრისა, მათ კანდიდატებისა და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევის შესახებ; 6) კოლონიის დირექტორის დამტკიცება.

შენიშვნა: საზოგადო კრება შესდგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების 20 წევრზე ნაკლები არ მოვა (საზოგადოების წესდების მე-17-ე §-ის ძალით). (უ. 3—1)

ტფილისის სათავად-აზნაურო კერძო გიმნაზიის

პედაგოგიური საბჭო ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 15 თებერვალს, სწავლა განახლდება ყველა კლასებში. (3—6.—2)

ა. პ. შულბინა-მესხი

გაკვეთილები საოპერო სიმღერისა, ამზადებს ქართულ ოპერებისთვის და აგრეთვე პრაქტიკული და თეორეტიული გაკვეთილები ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ ენებისა. ვერის ღაღმართი № 1 (თვ.)

მედიცინის დოქტორი

გრიგოლ იოსების ძე გურგენოვი,

რომელიც ხარკოვის უნივერსიტეტის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკის შტატის ორდინატორად იყო, იღებს საბებიო და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს. ავადმყოფები მიიღება: დილით 10-დან 12-მდე; საღამოთი 5 დან 7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა, საარტისტო საზოგადოების პირდაპირ. (30—53—3)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 8. (წლ.)

ექიმი

მ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—$11\frac{1}{2}$ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი სვანიშვილისა.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 14) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეობით 10—1-მდის.

კბილის ექიმმა

ი. ზ. კანდელაკმა

განაახლა კბილის ავადმყოფთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სვამს ახალ ხელოვნურ კბილებს. ავადმყოფებს იღებს 9—2 და 4—7 ს. მიხაილოვის პროსპექტი, მატინოვის სახლი № 32. ძველ ბინის გვერდზე.

ქ. ქუთაისში

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

იღებს ავადმყოფებს (ყური, ყელი, ცხვირი და შინაგანი სნეულებანი), პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელოვისა. (15—კვ.—4)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

ტფილისში

მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. ზ. ალაჯანოვი. 1—2 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ტყავის ავადმყოფობანი.

ი. ნ. მიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი ელექტრონით წამლობა.

პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

ბ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.

ი. ი. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

მ. გ. ქიმოევი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.

მ. რ. ილხიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.

ჰ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—46)

ვისაც სურს

სახლი ააშენოს, ან უკვე აშენებული სახლი გადააკეთოს გემოვნებით, იაფად და მკვიდრათ, ვკისრულობ ხელმძღვანელობას და ზედამხედველობას ყველასათვის ხელმისაწვდომ პირობებით. ვიღებ სახაზავ საქმეებსაც.

მსურველმა მომმართოს: 1) სასახლის ქუჩაზე, სარაჯიშვილის სახლის ეზოში, Бюро „Сотрудникъ"-ის კონტორაში, ტელეფონი № 60, ან 2) ჩუღურეთში, გონჩაროვის ქუჩაზე, საკ. სახლი № 28.

(10—6—7) ტეხნიკოსი გიგო თოიძე.

ექიმი

მ. პ. ბეჟირგანოვი

სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—$7\frac{1}{2}$ საათზედ. (თვ.—27)

ექიმი

პ. ა. არდაზიანი

იღებს ბავშვებს და შინაგან ავადმყოფებს დილის 8—9 ს., საღამოს 4—7 ს. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა (19—14)

ტფილისი, 16 თებერვალი.

„კავკაზ"-ი და რეალური პოლიტიკა.

სომხურმა გაზეთმა „არშალუისმა" პირველ იანვრის ნომერში მოათავსა პროგრამა, რომელსაც ამ გაზეთის რედაქცია იცავს. პროგრამა ხუთმეტი მუხლისაგან შესდგება, რომელთაგან პირველი ამბობს: „აღვიარებთ მოქმედებას რეალურ პოლიტიკის ფარგალში; მივიღებთ მხედველობაში ისტორიულ მომენტს, არსებულს პირობებს, სომეხთა ცხოვრების განსაკუთრებით გარემოებებს და ვესწრაფით განვახორციელოთ მხოლოდ ის, რაც შესაძლებელია". რეალური პოლიტიკა, როგორც ჩვენს გაზეთში არა ერთხელ გვითქვამს, ფუჭი სიტყვაა და თავის თავად პოლიტიკურ აზროვნებას და მოქმედებას სრულებით ვერ ახასიათებს. ნამდვილად პოლიტიკა ყოველთვის რეალურია და არა რეალურ პოლიტიკას არავინ არ მისდევს, მაგრამ ის პოლიტიკური აზროვნება, რომელიც „რეალურ პოლიტიკის" დროშას აფრიალებს, ამით იმ პრინციპს აღიარებს, რომ წინადვე შესაძლოდ მიაჩნია გამოიცნოს მომავალი დასკვნა მომქმედ ძალთა ბრძოლისა და ეს დასკვნა გაიხადოს თავის მისწრაფების საგნად. გაზეთ „არშალუისსაც" სწორედ ასე ესმის „რეალურ პოლიტიკის" მნიშვნელობა და ამიტომაც განმარტავს, ჩვენ მხოლოდ იმას ვესწრაფვით, რის ასრულებაც შესაძლოაო.

იქნება ზოგჯერ, როდესაც ცხოვრება მშვიდობიანად მიმდინარეობს და საზოგადოებრივ ძალთა ბრძოლა წყნარად სწარმოებს, მართლა შესაძლო იყოს, წინადვე ივარაუდოს ადამიანის გონებამ მომავალი, მაგრამ ისეთს რევოლიუციონურ ხანაში კი, რომელშიაც ეხლა რუსეთი იმყოფება, ყოვლად შეუძლებელია წინასწარმეტყველება და გამოცნობა იმისი, რა განხორციელდება და რა არ განხორციელდება. ვინც სარევოლუციო მოძრაობის დროს გამოდის საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე რეალურ პოლიტიკის პრინციპებით, ის ბუნებრივად უძლურია, მომავალი გამოიცნოს, იმას აუცილებლად აზრები ებნევა და ბოლოს-ბოლოს ზოგად ფრაზების მეტი სხვა ვერაფერი შეაქვს პროგრამის მუხლებში. ასეთს შთაბეჭდილებას ახდენს გაზეთის „არშალუისის" პროგრამაც. ზოგიერთ საკითხის შესახებ გაზეთი პირდაპირ ამბობს, გარკვეული შეხედულება არა მაქვსო; ასეთი საკითხია კავკასიის თვით-მმართველობა და კავკასიელ ერების ურთიერთობა. შემოღებულ უნდა იქმნას ფართო თვით-მმართველობა და დამყარდეს სოლიდარობა ერთა შორისო, სწერს „არშალუისი", მაგრამ რომელ პოლიტიკურის ფორმით შეიძლება ამ მიზნის განხორციელება, ამის შესახებ კი გაზეთის რედაქცია ბოდიშს იხდის მკითხველების წინაშე, ჩემი აზრი არა მაქვსო.

გამოურკვევლობას აუცილებლად უმოქმედობა მოსდევს და, რა თქმა უნდა, ეს უმოქმედობა საზოგადოებრივ ძალებისა და ორგანიზაციებისა ყველაზე მეტად რეაქციონერებისათვის არის ხელსაყრელი. გაზეთის „არშალუისის" პროგრამა ძალიან ჭკუაში მოსვლია გაზეთ „კავკაზს,"—ადვილი გასაგებია, რატომ. „კავკაზი" ულოცავს სომხურ პრესსას და ინტელიგენციას „გამოფხიზლებას," ულოცავს „ოცნებათა და სიზმართა" სამფლობელოდან—რეალურ პოლიტიკის ნიადაგზე გადასვლას, განსაკუთრებით აღტაცებულია „არშალუისის" განცხადებით, რომ „ბუნებრივ-ისტორიულ მიზეზებისა გამო რუსეთის სახელმწიფოებრივ სისტემას ბოლოს და ბოლოს ძირითადი რუსის ხალხი გადასწყვეტსო."

„კავკაზის" რედაქციას სომხურ პრესსის და ინტელიგენციის გამოფხიზლება მთლიანად არ აკმაყოფილებს, „კავკაზს" ჰსურს, რომ ქართულმა პრესსამ რეალურ პოლიტიკის დროშა გამოჰფინოს, ჰსურს, რომ ქართველმა ინტელიგენციამაც გამოსთქვას თავისი „დინჯი, გონიერი, გულ ახდილი სურვილი და გამოხატოს თავისი პრაქტიკული სიბრძნე". ასეთისავე მოწოდებით მიჰმართავს „კავკაზი" თათრებს და ჰპირდება, რომ მათ წერილებს ადგილს დაუთმობს თვით „კავკაზის" ფურცლებზე, „რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ ეს პოლიტიკა ეთანხმებოდეს რუსეთის ახალს სახელმწიფოებრივ წყობილებას, იმპერიის საერთო ინტერესებს და მიზანს, შეურყეველ პრინციპს რუსეთის მთლიანობისას რუსის გვირგვინოსან მეფის ხელში და, რა თქმა უნდა, იმ ფაქტს (!) რომ მხოლოდ რუსის ძირითადი ხალხი იქნება მეფესთან ერთად ხელმძღვანელი იმპერიის და განაპირა ქვეყნების პოლიტიკისა, არა რუსნი-კი სახელმწიფო სათათბიროში ილაპარაკებენ თავისი საჭიროებისა და მისწრაფების შესახებ და ამ ლაპარაკს იქ რუსის ხალხი მოისმენს".

როგორც ჰხედავთ, ოფიციალური გაზეთი ნელ-ნელა კავკასიის „ინოროდცებს" გვიჩურჩულებს კიდეც, როგორ უნდა გამოვფხიზლდეთ და რაში უნდა გამოიხატოს ეს გამოფხიზლება. თურმე ჩვენ, ინოროდცებმა, გულახდილად უნდა ვთქვათ, რა გვტკივა და რა მოგვარჩენს, ძირითადი რუსები ყურს დაგვიგდებენ და შემდეგ გადასწყვეტენ, როგორი მიმართულება მისცენ პოლიტიკას. დღევანდლამდე „ინოროდცები" დარწმუნებული იყვნენ, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტით მათ ისეთივე უფლება აქვთ სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მონაწილეობისა, როგორც რუსებს. გაზეთი „კავკაზი"-კი გვიჩურჩულებს, ეს თქვენთვის საჭირო არ არის, თქვენთვის ისიც საკმაო უნდა იყოს, რომ თუ გულახდილად სთქვით რამე, ამას რუსის ხალხი მოისმენსო.

ერთ დროს „კავკაზი" მოიკონსტიტუციონალ-დემოკრატებდა, ჩვენ მაშინ ეჭვის თვალით შევხედეთ იმის დემოკრატობას და ვთქვით, რომ მალე „კავკაზი" წესრიგის პარტიაში გადინაცვლებსო. როგორც ჰხედავთ, ჩვენი სიტყვა გამართლდა: „კავკაზი" არა თუ წინააღმდეგია ავტონომიურ მმართველობის შემოღებისა განაპირა ქვეყნებში, არა რუსთ ეს გაზეთი სახელმწიფო სათათბიროში გადამწყვეტ ხმასაც კი არ აძლევს და ამ გვარად გოფ-მეისტერ ბულიგინის „დუმას" უბრუნდება. მართალია, ეს არ ეთანხმება 17 ოქტომბრის მანიფესტს, მაგრამ წეს-რიგის პარტია აკი პირდაპირ აცხადებს, სახელმწიფო სათათბიროს გადამწყვეტი ხმა უნდა ჩამოერთვასო.

„არშალუისის" გამოფხიზლებას, როგორც ვხედავთ, „კავკაზი" მეტის მეტად გაუთამამებია და იმას თითქოს რაღაც იმედი მისცემია, რომ ქართული პრესსა და ინტელიგენციაც გამოფხიზლების გზაზე სდგას და წესრიგის პარტიას უახლოვდებაო. რატომ ჰგონია ეს?—იქნება იმიტომ, რომ ქართული პრესსა, ინტელიგენცია და ხალხი წინანდელივით მძლავრად და მედგრად ვეღარ აცხადებს დღეს თავის გულის თქმას? მაგრამ ოფიციალურმა „კავკაზმა" ამ ფაქტის ასახსნელად უკეთესი იქნება თავის ოფიციალურ განყოფილებას მიჰმართოს, გენერალ-გუბერნატორების ახალ-ახალი საგანგებო საკანონმდებლო აქტები მოიგონოს, ხოლო ქართულ პრესსის, ინტელიგენციის და ხალხის დარიგებაზე კი ისევ ხელი აიღოს. ქართულმა პრესსამ თითონ უკეთ იცის, როდის არის საჭირო პროგრამების წამოყენება, და ოფიციალურ ორგანოების ჩურჩულებას არა საჭიროებს.

ლოგიკური დასკვნა 3 ნოემბრის მანიფესტისა.

ვერა და ვერ დაადგა ბიუროკრატია ერთ გარკვეულ გზას საადგილმამულო საკითხის გადაწყვეტის საქმეში. როგორც ყველა სხვა საქმეში, აქაც ბიუროკრატიას ერთი რამ უშლის: იგი პროტექციონიზმის აკვანშია გამოზრდილი, ჩვეულებრივი ბიუროკრატიული სკოლა აქვს გავლილი და ეს სკოლა დღეს ასვამს ყოველს იმის საქმეს, ბიუროკრატიულ ელფერს აძლევს ყველაფერს, რასაც კი შეეხება. რა თქმა უნდა, ეს ბიუროკრატიული ელფერი ეხლანდელ დროში თვალს არ ესიამოვნება, ამიტომაც არის, რომ სხვა და სხვა გვარი შემოქმედებითი ცდა ბიუროკრატიისა არავის არ აკმაყოფილებს. მეორეს მხრივ ბიუროკრატიას არ უნდა თავი ბანკროტად გამოაცხადოს და ხალხის ნამდვილ წარმომადგენლებს გადასცეს განსახილველად თავის გონების შეუფერებელ საკითხის გადაწყვეტა. ყველაზედ მეტ უვიცობას და უძლურებას ბიუროკრატია მიწათ-მფლობელობის საკითხის გადაწყვეტაში იჩენს. როგორც უკვე აღვნიშნეთ ერთ წერილში, რუსეთი ამას იქით ერთ ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს წინ, თუ ძირიან-ფესვიანად არ შესცვალა თავისი ჩვეულებრივი საეკონომიო და საფინანსო პოლიტიკა, პოლიტიკა პროტექციონული, რომელიც ხელს უწყობს მსხვილ მრეწველობას და მიწათ-მფლობელობას და იმათ სასარგებლოდ აღატაკებს გლეხობასა და მუშებს. ადვილად მიხვდება მკითხველი, რომ ეხლანდელი მთავრობა ასეთ ძირითად რეფორმას არ მოისურვებს, და აი ამით აიხსნება რყევა და გაურკვევლობა, რომელიც მთავრობას ემჩნევა საადგილ-მამულო საკითხში. თვით 3 ნოემბრის მანიფესტითაც ბიუროკრატია, თუ კი მართლა მოიწადინებს ამ მანიფესტის განხორციელებას, უკვე მოწინააღმდეგედ გამოდის წინანდელ პოლიტიკისა; ეს არის, რომ მას ორ ცეცხლ შუა აგდებს: ერთის მხრივ აუცილებლად საჭიროა გლეხთა დაკმაყოფილება, მეორეს—არ უნდათ მსხვილ მემამულეთა წყენაც. პირველ შემთხვევაში იგი უხვევს საუკუნოებით შექმნილ მიმართულებას რუსეთის მთავრობისას, რომელიც ყოველთვის მემამულეთა მთავრობა იყო, მეორე შემთხვევაში გლეხობას საბოლოოდ უკარგავს ყოველსავე ნდობას მთავრობისადმი და აიძულებს საკუთარის ძალღონით გადასწყვიტოს აგრარული საკითხი. პირველი ნაბიჯი ძნელია, რადგანაც ამით მთავრობამ ჩვეულებრივი პოლიტიკა უნდა შესცვალოს და გადაიმტეროს ის ელემენტი, რომელიც აქამდის ზურგს უმაგრებდა რუსეთის სახელმწიფოს სვე-ბედის გამგეებს; მეორე ნაბიჯი კიდევ საშიშია, რადგანაც მაშინ ფიქრიც კი აღარ შეიძლება სახელმწიფოს დამშვიდებაზე.

ორ ცეცხლ შუა ყოფნა მთავრობისა და შიში მემამულეებისაგან აშკარად სჩანს ერთ დოკუმენტიდან. ეს დოკუმენტი არის „კოპიო ფინანსთა მინისტრის ამხანაგის წერილისა 6 ნოემბერს 1905 წელს." პირველ ყოვლისა ფინანსთა მინისტრის ამხანაგი სწერს: მთავრობამ გადასწყვიტა ხელი შეუწყოს გლეხობას მიწის შესყიდვის საქმეში, ამისათვის ფინანსთა მინისტრმა, მინისტრთა საბჭოს ნებართვით, გადასწყვიტა მიმართოს სამაზრო ერობებს, რომ მონაწილეობა მიიღონ ამ საქმის განხორციელებაში და საჭირო დახმარება აღმოუჩინონ საგლეხო ბანკს და იმის ადგილობრივ განყოფილებებს მიწის ყიდვასა და გლეხებზე გაყიდვაში; ხელი შეუწყონ აგრეთვე გლეხებს პირდაპირ მემამულეთაგან მიწის გამოსყიდვის დროს. მთავრობა თვითონვე ჰგრძნობს თავის უძლურებას და სთხოვს დახმარებას არა მარტო ერობას, მთელ საზოგადოებასაც. მინისტრის ამხანაგის სიტყვით, საჭიროა დახმარება მთელის საზოგადოებისა და განსაკუთრებით იმ დაწესებულებებისა, რომელთაც, ასე თუ ისე, კავშირი აქვთ ადგილობრივ მცხოვრებლებთან. „თუ ამ გვარი დახმარება არ იქნება,—ნათქვამია წერილში, მაშინ სრულიად უძლური გამოდგება ყოველი საშუალება ასეთ მრისხანე აგრარულ კრიზისის თავიდან ასაცილებლად". მთავრობა ჰგრძნობს იმასაც, რომ მან მიუდგომელ მოსამართლის როლი უნდა აასრულოს, უნდა მოარიგოს ორი მებრძოლი, ისე კი, რომ საქმე მხოლოდ სახელმწიფოს და არა რომელსამე მებრძოლის სასარგებლოდ გადასწყდეს. ჰგრძნობს ამას მთავრობა, მაგრამ ავიწყდება, რომ ამ ბრძოლაში დაჩაგრული მხოლოდ გლეხობაა; გლეხობას დასათმობი არა გააჩნია-რა და ამიტომ არც მოეთხოვება რამე; რომ გლეხობის „დარიგება" მეტია; ავიწყდება ყოველივე ეს და მინისტრის ამხანაგის პირით ამბობს: „საჭიროა ერთის მხრივ გლეხობა გაიმსჭვალოს რწმენით, რომ ეს ზომები მარტო სიტყვით კი არ არის განზრახული, რომ მათ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვთ, რომ ძალით მიწის ხელში ჩაგდება მხოლოდ ქვეყანას აღატაკებს". ასე ამბობს მინისტრის ამხანაგი, თითქოს თვით გლეხობას ძალადობა ძლიერ ესიამოვნებოდეს და შიშით არ ატანდეს ძალს ამ საქმის ჩასადენად. „მეორეს მხრივ,—განაგრძობს ქვემოდ მინისტრის ამხანაგი—მემამულენი

უნდა გაიმსჭვალონენ იმ აზრით, რომ მცირე ადგილ-მამულიან გლეხობის მიწით უზრუნველყოფას მოითხოვს საყოველთაო საჭიროება. საჭიროება არა მარტო გლეხობისა, არამედ სახელმწიფოს ყველა მცხოვრებთა, რომ თუ ეს ვერ მოხერხდა, სულ ერთია მემამულეთათვის თითქმის შეუძლებელი იქნება მიწის შერჩენა“.

დიდად საყურადღებო სიტყვებია ეს სიტყვები. ალბად მთავრობა ჰგრძნობს, რომ იმისი პროექტი მემამულეთა შორის თანაგრძნობას ვერ მოიპოვებს. შემდეგ დოკუმენტში აღნიშნულია, რა წინააღმდეგობა შეუძლიანთ გაუწიონ მემამულეთ მთავრობის განზრახვას. 1. მემამულეებს შეუძლიანთ მეტად დიდი ფასები დანიშნონ თავიანთ მიწებზე და ამ ფასად მიჰყიდონ ბანკს: ფასს საიჯარო გადასახადის დაგვარად დანიშნავენ; საიჯარო გადასახადი კი, თვით წერილის ავტორის აზრითაც, არ შეეფერებოდა მიწის ნამდვილ ფასს. 2. შეუძლიანთ უარი განაცხადონ იმ მიწების გაყიდვაზე, რომელიც აუცილებლად საჭიროა გლეხებისათვის; ამ მიწებს მემამულენი განგებ შეინახავენ და ისეთ საიჯარო ფასებს დაადებენ, როგორიც მოესურვებათ, ასეთი მიწები გლეხისათვის საჭიროა და აიღებს კიდეც, რადაც უნდა დაუჯდეს. მაშასადამე ძალდატანებითი იჯარა ისევ დარჩება და გლეხი ბატონყმურ მდგომარეობიდან ვერ გამოვა.

ამრიგად მთავრობას თვითონ ესმის, რომ მემამულეებთან ვერ მორიგდება და ვერცა ჰბედავს, გადაჭრით მოსთხოვოს თავის ბრძანების ასრულება; იგი დარიგებას უნდება და დარიგებით-კი აბა რა გამოვა? ძლიერი მთავრობის საჭიროებაზე სხვა დროს ბევრს ლაპარაკობენ ხოლმე, ხოლო ამ შემთხვევაში კრინტსაც არავინ სძრავს. ძლიერი უფლება სწორედ აქ არის საჭირო. მინისტრის ამხანაგის პროექტით გადასახადთა ინსპექტორებს უნდა დაევალოთ, აუხსნან ყველას რეფორმის საჭიროება, დაუმტკიცონ, რომ ეს რეფორმა საჭიროა თვით მემამულეთათვისაც. აქამდე მიიყვანა საქმე რეფორმის უმნიშვნელო პროექტმაც-კი.

ზემოდ ვთქვით, რომ თვით 3 ნოემბრის მანიფესტი ძალას ატანს მთავრობას გადაუხვიოს ჩვეულებრივ პოლიტიკას. ამ აზრს საუკეთესოდ ასაბუთებს აღნიშნული დოკუმენტი. იგი ამტკიცებს მთავრობის სრულ უძლურობას ამ საკითხის გადაწყვეტის საქმეში, აშკარასა ხდის, რომ თუ მთავრობას სურს 3 ნოემბრის მანიფესტის შესრულება, უნდა გადაუხვიოს ჩვეულებრივ პოლიტიკას. ჯერ-ჯერობით მთავრობა სცდილობს არც მწვადი დაწვას და არც შამფური. საქმეც გააკეთოს და არც ნაცად პოლიტიკას გადაცდეს; მაგრამ მალე მიხვდება, რომ დარიგებით ვერას გააწყობს. ამიტომ ლოგიკური დასკვნა ის რეფორმაა, რომელსაც ხალხი თხოულობს ე. ი. ექსპროპრიაცია (ძალით ჩამორთმევა) მიწისა. მთავრობა რომ ვერ ასცდება ამ ლოგიკურ დასკვნას, ეხლავე სჩანს: მმართველ წრეებში უკვე ხელმეორედ წამოაყენებს საგლეხო საკითხი. მაგრამ ამაზე შემდეგ.

დასავლეთ საქართველოში

ზემო-იმერეთი. საჩხერეში ყაზახები ორჯელ მოვიდნენ და ორჯელვე ისეთი სუსხი მოიტანეს, რომ ხალხი დღევანდლამდე შიშშია. „ცნ. ფურც.“-ში უკვე იყო მოთავსებული ცნობები იმის შესახებ, თუ რა თავზარი დასცეს მთელ შორაპნის მაზრის მცხოვრებთ, მაგრამ აღნიშნული ცნობები მესედადაც ვერ ასურათებენ იმ საშინელებას, რაც აქ მოხდა და რაც არ ამოიშლება ხალხის ხსოვნიდან. დაწვრილებით ვერც შემოგაწვდით ცნობებს, რადგან პატარა კორესპონდენციაში კი არა, მთელს წიგნშიაც არ მოთავსდება ჩვენი კუთხის დაწიოკების ამბები. ამის გარდა ამ ჟამად ეს შეუძლებელიც არის.

ჯერ ისევ პირველშივე ხაშურისა, ბელაგორისა და ზესტაფონის განადგურება-დარბევისა, ძარცვა-გლეჯისა და დაწვა-დაწიოკების ამბებმა შეაშფოთა ზემო იმერეთის მცხოვრებნი. იანვრის ნახევარში თავზარდამცემი ხმები გავრცელდა საჩხერესა და ახლო-მახლო სოფლებში. ხმა გავარდა, რომ ყაზახები აღარავის ინდობენ და ყველაფერს თოფისა და ცეცხლის მსხვერპლად ჰხდიანო. ხულიგანებმა და ჯაშუშებმა ისიც გაავრცელეს, რომ ჯარმა და ყაზახებმა 7 წლიდან 40 წლამდე ქალი და კაცი უნდა ამოხოცონო. ადვილად წარმოიდგენს მკითხველი, რა ჯოჯოხეთურ და სულის შემხუთველ მდგომარეობაში ჩავარდებოდა ხალხი. სოფლებიდან ჯერ არ იხიზნებოდნენ, თუმცა სიფრთხილის გულისათვის ბევრნი მოემზადნენ გასახიზნად. ჯარი და ყაზახი 12 იანვარს მოვიდა. საჩხერის სადგურიდან აჰყვნენ დაბა საჩხერეს და რაკი შეღამდა, წაუკიდეს ცეცხლი ზოგიერთ სახლებსა და დუქნებს. როგორც უკვე იყო „ცნ. ფურც.“-ში აღნიშნული, 30-ზე მეტი სახლი და დუქანი გადაიწვა.

სოფლის ხალხი ეხლა კი დარწმუნდა, რომ დანდობა აღარ არის და ღამევე ერთი წივილ-კივილი და ხმაურობა ასტყდა. თუ რამე გააჩნდათ, ყოველივეს თავი მოუყარეს და დამალეს, ზოგი მიწაში, ზოგიც კლდეღრეებში. 13 იანვარს ხალხი ახლო-მახლო სოფლებიდან დაიძრა. გაიხიზნენ სოფელ კალაუთისა, ქორეთისა, საირხესა, მერჯევისა, ივანწმინდისა, სავანისა, ჩიხისა, დუნთისა და თვით დაბა საჩხერის მცხოვრებნი. ზოგმა მთის სოფლებში ნათესავებს შეაფარა თავი, ზოგმა პირდაპირ მთებს მიაშურა. საშინელს სანახაობას წარმოადგენდა სოფლებიდან მიმავალი ხალხი. თოვლსა და ლაფს ვილა ერიდებოდა ზოგი; ბავშვს მიათრევდა, ზოგი რას და ზოგი რას. ვინც სოფლებიდან ვერ გასწრო, იქვე ეძებდა დასამალავ ადგილს. ზოგმა სამოციანი დიდი ქური ამოასუფთავა, რომ თუ ვინიცობაა რაიმე უბედურება დაატყდებოდა, იქ ჩამძვრალიყო და ცოტა ხანს მაინც დამალულიყო. პირველი მოსვლა ყაზახებისა ნამდვილი შემოსევა იყო. თავზარი დასცეს საჩხერეს, გადასწვეს სახლები, ზოგიერთ სოფელში გლეხები აიკლეს და ზოგან სახლებიც დასწვეს. საბედნიეროდ, გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით, ჯარი მეორე დღესვე გაიწვიეს. ალბათ რაღაც მიზეზი იყო. როგორც უკვე იყო აღნიშნული, შორაპნის მაზრას შეეწერა ზესტაფონის ხაზინიდან გატაცებული 201,000 მან. ეს არ აკმარეს და ის 47,000 მანეთიც შეაწერეს, რომელიც 1905 წელს, ზაფხულში, ჭიათურის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებიდან გაიტაცეს. ძალიან გაუჭირდა ხალხს შეწერილ ფულის გარდახდა, მაგრამ რას იზავდა! ბევრმა ორ მანეთად ღირებული კოდი სიმინდი 1 მან. გაჰყიდა და ასე შეავსო გადასახდელი ფული. ხალხმა ერთს-ორ კვირაში გადაიხადა ფული. ეგონათ, ამის შემდეგ ჯარი აღარ მოვაო, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. იანვრის 20 რიცხვებში ვიღაცები თავს დაეცნენ საჩხერეში ერთ ებრაელის ოჯახს. დასჭრეს ისხაკ წვენიაშვილი, მოჰკლეს მისი შვილი, მოჰკლეს არონ შათაშვილი და დასჭრეს ამ უკანასკნელის ცოლი. ამას გარდა გაიტაცეს, როგორც ამბობენ, 3600 მანეთი. ეს ამბავი მალე აცნობეს გენერალ-გუბერნატორს და 25 იანვარს ჩვენსკენ გამოგზავნეს ყაზახები. ერთი სოტნა ყაზახი ჭიათურაში გაჩერდა, მეორე—საჩხერეში. მეორე მოსვლა ყაზახებისა უფრო თავზარდამცემი იყო მცხოვრებთათვის. თებერვლის პირველ რიცხვებში სოფელ პასიეთში დასწვეს მეტონიძეების სახლები და სასიმინდეები. სულ ხუთი მოსახლე განადგურდა. სოფელ კალაუთაში, თუ რამე საფასოვანი ნახეს აზ. გოდაბრელიძეების სახლებში, ყველაფერი წაიღეს. ზოგიერთ მოსახლეს 500 მანეთის ზარალი მოუვიდა ნივთების დაკარგვით. მღვ. ლავრენტი წერეთელმა ყველაფერი დაჰკარგა, გაქცევა ერთის ფეხით მოასწრო. აწიოკებული ოჯახები ხან ერთს ნათესავებს, ხან მეორეს აკარებენ თავს, მაგრამ როდემდის? აწიოკებულმა ხალხმა არ იცის, რა ჰქნას. მუშაობაზე გული აღარავისა აქვს და ყოველ წუთს ყური და თვალი საჩხერისაკენ უჭირავთ, აბა როდის წამოვლენ ყაზახებიო. ხალხმა, რამდენადაც შესძლო, მოთხოვნილებანი შეასრულა. ეხლა იარაღს თხოულობენ, მაგრამ საიდან მისცეს ხალხმა იარაღი, როცა არა ჰქონია. იარაღის ჩაბარების ვადა ჯერ 5 თებერვალი იყო, შემდეგ გადასდეს. ასეთ მდგომარეობაშია ამ ჟამად ჩვენი კუთხე. თავ-გასულობას საზღვარი არ აქვს. სოფელი არ არის, რომ არ დაზარალებულიყოს. შიგა და შიგ სოფლებში გლეხთა გადაწვა და განადგურება ჯაშუშების წყალობა გახლავთ. ამათ ეხლა თამამად წამოჰყვეს თავი და აშკარად უთითებენ: აქ ეს კაცი იმალება, იქ ამა და ამ დროს ამ საქმეს ჩადიოდნენო და სხვ. არ ვიცით, როდემდის გაგრძელდება ასეთი მდგომარეობა...

ქ.

ახალი ამბავი

◆ **მინისტრის ახალი მოწერილობა.** ხმა დადის, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა ახალი მიწერილობა დაუგზავნა გუბერნატორებსა და გენერალ-გუბერნატორებსაო. მინისტრი სწერს, საარჩევნოდ მომზადებისა და საჯარო კრებების გამართვის ნება უნდა მიეცეთ იმ მშვიდობიან პოლიტიკურ პარტიებს, რომელნიც ხალხს შეიარაღებულ აჯანყებას არ უქადაგებსო.

◆ **ქართველ მუშების დათხოვნა.** ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ნოვოროსიისკში დიდძალი ქართველი მუშაა, 150 კაცამდე. ესენი ნავთსადგურში მუშაობდნენ გემების დატვირთვა-გადატვირთვაზე. ეხლა ნავთსადგურის ქართველი მუშები ყველანი დაუთხოვნიათ და უბრძანებიათ საჩქაროდ სამშობლოში დაბრუნდნენ.

◆ **ფოსტის მოხელეთა დელეგატების საქმე.** ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა დელეგატების საქმე, რომელიც ჟანდარმთა ხელში იყო, უმაღლეს მთავრობის განკარგულებით, გადაეცა სამოსამართლო უწყების გამომძიებელს ბ-ნ ილიაშჩენკოს.

◆ **სომეხ-თათართა დელეგატების კრება.** მომრიგებელ დელეგატების კრება, რომელიც დღეისთვის იყო დანიშნული კავკასიის ნამესტნიკის საბჭოში, 20 თებერვლისთვის გადაიდო.

◆ **ბაქო.** 10 თებერვალს ბაქოში გაიმართა ჩვეულებრივი ქართული საღამო, რომელსაც საზოგადოება ბლომად დაესწრო. საღამოს, სხვათა შორის, მრავალი მაჰმადიანი და სომეხი დაესწრო. საღამომ საზოგადოდ მშვენიერად ჩაიარა და ხარჯს გარდა, როგორც ამბობენ, სამას თუმნამდე დარჩება.

◆ **სამსახურიდამ გადაყენება.** ქართლის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის საქმის მწარმოებელი დახილოვი სამსახურიდან გადაყენებულ იქმნა.

◆ **საგლეხო ბანკი.** საგლეხო ბანკი, რომელმაც გუშინ, 15 თებერვალს, დაიწყო მოქმედება, მოთავსებულია ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, თავ. მუხრანსკის სახლში.

◆ **გადაყენება.** ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის განკარგულებით, გადაყენებულ იქმნა სამსახურიდან გაფიცვის დროს „უმოქმედებისათვის“ ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი ბ-ნი რიაბჩინსკი.

◆ **სამკურნალოს ახალი შენობა.** რადგან ტფ. ცენტრალურ სამკურნალოს მეტად მოუხერხებელი და ცუდი სადგომი აქვს, ქალაქის გამგეობამ დაადგინა ახალ შენობის აგება. შენობის აგება განზრახულია ქალაქის საკუთარ მიწაზე, წყლის პირას ქუჩაზე. ახალ შენობაში უნდა მოთავსდეს სამკურნალო, საქიმიო ლაბორატორია, ქალაქის ლომბარდი და ქალაქის პროფესიონალური სახელოსნო. ახალ შენობის პროექტის შედგენა დაევალა ტეხნიკოს ალაჯანოვს.

◆ **კანტრალიორის თავ. თუმანოვის მოკვლის საქმე.** გუშინ, 15 თებერვალს, კავკასიის სამხედრო სასამართლომ გენერალის შერბოვიჩ-ვეჩორის თავმჯდომარეობით ხალხის დაუსწრებლად განიხილა საქმე რკინის გზის კონდუქტორის ოზურგეთის მაზრის მცხოვრების იასონ იასეს ძე ღლონტისა, რომელსაც ჰბრალდებოდა კონტროლერის თავ. გიორგი თუმანოვის მოკვლა. ოლქის სასამართლოს შესავალს იცავდა გაძლიერებული რაზმი პოლიციელებისა. ბრალდებულს ნება მისცეს სასამართლოს დარბაზში შეეყვანა მხოლოდ სამი კაცი მახლობელი ნათესავი. მკითხველებს ეხსომებათ ამ საქმის ვითარება. როგორც გამოძიებით გამოირკვა, ღლონტი 1905 წელს 27 აგვისტოს ტფილისიდან იმერეთისაკენ მიემგზავრებოდა და რადგან ვაგონებში ტევა არ იყო, იგი ვაგონის ბაქანზე დამდგარა. ამ დროს ჩამოუვლია კანტრალიორს თავ. თუმანოვს და უკითხნია ღლონტისთვის, აქ რადა სდგეხარო. მას უპასუხნია, ვაგონში ტევა არ არისო. ამაზე გაცხარებულა თავ. თუმანოვი. ბევრს ნუ ლაპარაკობო, დაუძახნია და ცხვირზე ბილეთების გასაჭრელი გაზი დაურტყამს, ამით გაჯავრებულ ღლონტს ხელი უკრავს. თავ. თუმანოვს ამოუღია რევოლვერი და ორჯელ დაუხლია, მაგრამ ბრალდებულს ტყვია ასცდენია. ღლონტის ხელი უტაცნია რევოლვერის წასართმევად. ამ დროს ესევე რევოლვერი სამჯერ გავარდნილა და თუმანოვი ისე მძიმედ დაჭრილა, რომ იქვე გარდაცვლილა. ბრალდებულმა სასამართლოში თავი დამნაშავედ არ იცნო და განაცხადა, სხვა გზა არა მქონდა, და თავის დასაცველად რევოლვერის წართმევა მოვინდომე; ამ დროს რევოლვერი სამჯერ გავარდა და თავ. თუმანოვი დაიჭრა სასიკვდილოდო. ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი თავ. ი. ა. ბარათაშვილი სასამართლომ ბრალდებული იასონ ღლონტი სრულიად გაამართლა.

◆ **ქალაქის სკოლები.** უკვე ვწერდით, რომ ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ მცირე კომისიას მიანდო ქალაქის სკოლებში ახალ პროგრამით სწავლის მოწყობა. კომისიამ დაადგინა: 1. ცნობილ იქმნეს, რომ პრაქტიკულად შესაძლებელია ქალაქის სკოლებში განხორციელდეს 1881 წლის სასწავლო გეგმა; 2. რადგან ზოგიერთ სკოლებს სამყოფი სადგომი არა აქვთ, განყოფილებანი სხვადასხვა ეროვნებისა ბავშვებისთვის სხვა შენობებში იქმნას გადატანილი; 3. ის სკოლები, სადაც საკმაო და ვრცელი სადგომებია, ორსა და მეტს განყოფილებად გადაკეთდეს; 4. ამ მუხლის თანახმად სკოლები უბნებად დანაწილდეს; 5. თითოეულს სკოლაში იყოს გამგე სკოლისა, ორი მისი თანაშემწე, სჯულის, ხელსაქმის და გალობის მასწავლებელნი; 6. ცენტრალურ რაიონში სკოლებისთვის დაქირავებულ იქმნას განსაკუთრებული შენობა, სადაც შეიძლებოდეს პარალელურ განყოფილებათა მოთავსება; 7. რადგან ავლაბრის დედათა სკოლას დიდი სადგომი აქვს, გადატანილ იქმნეს პირველ ავლაბრის სკოლაში მესამე, დაარსდეს იქ ერთი სომხური განყოფილება და სკოლა სომეხთა სასწავლებლად გადაკეთდეს, ისე კი რომ ამავე სკოლას ჰქონდეს ორი განყოფილება. მომავალში უნდა გადაიდოს ფული ავლაბარში მოზრდილ საკუთარ შენობის ასაგებად; 8. ვერის მეორე სკოლაში გაიხსნას ორი განყოფილება ქართულ პარალელურ განყოფილებით და სომხური; 9. პუშკინის პირველი სასწავლებელი გადაკეთდეს სამს—ქართულ, სომხურ და თათრულ განყოფილებად; ამისათვის საჭიროა ეხლანდელი შენობა გადაკეთდეს ან გამგისთვის სადგომად სხვაგან იქმნას დაქირავებული; 10 ავლაბრის ქალთა სასწავლებელი გადაკეთდეს სომეხთა სასწავლებლად, 11. ვერის ქალთა სკოლა—რუსების სკოლად; 12. ნაძალადევის სკოლაში ორი განყოფილება გაკეთდეს—ქართული და რუსული. ამ რიგად ავლაბრის უბანში იქნება თითო სკოლა—ქართული, სომხური და რუსული და ერთიც სომეხთა საქალებო სკოლა. ვერაზედ: რუსული, ქართული და სომხური, ერთიც რუსული საქალებო სასწავლებელი; ქალაქის შუაგულ უბნებში: სოლოლაკის სომხის სკოლა და მამადავითის ქართული სკოლა; კუკიაში: სომხური, ქართული და რუსული სკოლები; ნაძალადევში—ქართულ რუსული სკოლა და ხარფუხში სომხური, ქართული და თათრული სკოლები.

◆ ბორჩალოს მაზრის სოფლებ შიქტაპის, კარაკლისის, კოტურბულახის, ახპატის, არმანისის, სარჩაპეტის, კურტანის, უზუნლიარის, ჯელალ-ოღლის, გერგერის, გომარეთის, ოზურ-

---

ფელეტონი

რუსეთის ცხოვრება

საყურადღებო დოკუმენტი.—გამწარებული მამა.—პარტიათა შორის.—მუშათა ცხოვრებიდან.

კვლავ ვუხდები, მკითხველო, მოუციფი და კვლავ ჩივილისა და გოდების მეტს ვერაფერს ვახერხებ, რადგან საქმის ვითარება ისევ ძველებურია. ახალს ვერაფერს ვიტყვი, რადგან კარგი არა არის-რა და ცუდი ხომ დიდი ხანია საზღვარს გადასცდა. სიტყვებიც გამოლეულია, არ ვიცი, რა ვთქვა. ადამიანს, საუბედუროდ, არ მოუგონია შესაფერი სიტყვები ჩვენი დროის დასასურათებლად. მალე ნერვებიც სრულიად დაჩლუნგდება და იქამდის მივალთ, რომ ვეღარას ვიგრძნობთ, ვეღარას დავინახავთ და გავიგონებთ. ამიტომ მე მხოლოდ ფაქტებს მოვიყვან. დეე, თვითეულმა მკითხველმა ამ ფაქტების საშინელება იგრძნოს იმდენად, რამდენადაც ჯერ კიდევ შერჩენია გრძნობის არაქათი. მოვიყვან ერთ საყურადღებო დოკუმენტს იმავ სემიონოვის პოლკის და იმის უფროსის მინის გმირობის შესახებ, იმ მინისა, რომელსაც პოლკოვნიკობა არ აკმარეს და გენერლობა უბოძეს და რომელზედაც გაზეთები ამბობდნენ, პეტერბურგის გრადონაჩალნიკად ინიშნებაო. ეს დოკუმენტი გაზეთ „ნოვოსტ“-შია მოთავსებული. აი, იხილე, მკითხველო, და დასტკბი:

15 დეკემბერს, 1905 წ. № 349.

დამატება ბრძანებისა სემიონოვის ლეიბ-გვარდიის პოლკისადმი.

ქ. მოსკოვი.

16 დეკემბერს ინიშნება ექსპედიცია ყაზანის რკინის გზის პეროვოსა, ლიუბერცსა და კოლომნის სადგურებზე. რაზმის უფროსად ინიშნება პოლკოვნიკი რიმანი 1-ლი. რაზმში შევა სემიონოვის პოლკიდან:

მე-9 როტა: კაპიტანი შვედოვი და პოდპორუჩიკები ალბერტოვი მე-2-ე და მაკაროვი.

მე-10 როტა: კაპიტანი ფონ-სივერსი I-ლი, პორუჩიკი პოლივანოვი და პოდპორუჩიკი ფონ-ფოსტი.

მე-11-ე როტა: შტაბს-კაპიტანი ნახიმოვი მე-2-ე და პოდპორუჩიკები შარნგორსტი და რომანოვსკი.

მე-12-ე როტა: კაპიტანი ზიკოვი და პოდპორუჩიკი შრამჩენკო.

მე-14-ე როტა: კაპიტანი ფონ-ტიმროტი I და პოდპორუჩიკები ფონ-კრუზენშტერნი და ფონ-მინიხი.

მე-15-ე როტა: კაპიტანი მაიერი და პოდპორუჩიკები ფალეევი და ნიკანოროვი.

2 ზარბაზანი, პირველი საარტილერიო ბრიგადის მეოთხე ბატარეისა.

2 ტყვიის მტყორცნელი თურქესტანის ტყვიის მტყორცნელთა მეხუთე როტისა.

მიზანი და დანიშნულება რაზმისა ის არის, რომ დაიპყრიოს სად. პეროვო და ბოქაულის თავ. ობოლენსკის და ჟანდარმთა პოლკოვნიკის სმირნიცკის ჩვენებით, გაჩხრიკოს სახელოსნოები და შენობები. იპოვოს მოთავენი: უხტომსკი, კოტლიარენკო, ტატარინსკი, ივანოვი და სხვანი, თავ. ვადბოლსკისა და პოდპოლკოვნიკის სმირნიცკისვე ჩვენებით. მოსპოს მებრძოლი რაზმი. როდესაც რაზმი შეასრულებს ამას, დასტოვოს ს. დ. პეროვოზე ერთი როტა, რომელსაც უნდა მიენდოს სადგურისა და მიდამოების დაცვა.

რაზმმა ამასთან მიმოსვლის აღსადგენად უნდა აღმოუჩინოს დახმარება მთავრობის რკინის გზის აგენტებს. ამის შემდეგ უნდა წავიდეს ლიუბერცში. იქ დაიპყროს სადგური, გაჩხრიკოს სოფელი და ქარხანა და ისე იმოქმედოს, როგორც სად. პეროვოზე.

საზოგადო ბრძანება: რაზმმა **პატიმარნი არ უნდა იყოლიოს და უნდა იმოქმედოს დაუნდობლად** (კურსივი ჩვენია). ყოველი სახლი, საიდანაც სროლა იქნება, უნდა გაანადგუროს ცეცხლით, ან ზარბაზნებით. შეძლებისა დაგვარად უნდა დაინდოს და დაიცვას რკინის გზის შენობები, რომელიც საჭიროა და სასარგებლო რკინის გზისათვის.

სად. „სორტიროვოჩნია“-ზე უნდა დასტოვოს ერთი როტა, რომელმაც არ უნდა გაუშვას მატარებლები მოსკოვში, გადაუღობოს მატარებლებს გზა შპალებით და შეაყენოს ხოლმე ნიშნით: „დადექით“. თუ არ დამორჩილდნენ, სროლა ასტეხოს. სასტიკად უნდა ადევნონ თვალ-ყური ტელეგრაფის აპარატებს.

შემდეგ ამისა რაზმი უნდა გაემართოს სად. კოლომნასაკენ, იქ გაჩხრიკოს და გასინჯოს ყოველივე და დარჩეს იქ ახალ ბრძანებამდე. ჭრილობების შესახვევად პუნქტები უნდა დაარსდეს: ერთი სად. პეროვოზე (ერთი ექიმი და ერთი ფელდშერი), ხოლო მეორე სად. ლიუბერცზე (ერთი ექიმი და ერთი ფელდშერი). რაზმის მოქმედებისა და იმის შედეგზე რაზმის უფროსმა რიმანმა I-მა უნდა დაწვრილებითი მოხსენება წარმომიდგინოს.

ნამდვილზე აწერია: პოლკის უფროსი ფლიგელ-ადიუტანტი, პოლკოვნიკი მინი.

სწორია: პოლკის ადიუტანტი პოდპორუჩიკი ფონ-ბრიუმმერი.

**

ასეთ ბრძანებას აძლევს მინი თავის პოლკს: ხალხი დაიჭირეთ, ხოლო პატიმარნი ნუ იყოლიებთო. პოლკი აქამდე-კი საკმაოდ გულმოდგინედ არ ასრულებდა ამ ბრძანებას? განა მოსკოვში ძალიან ლმობიერად იქცეოდა იგი, რომ ასეთი ბრძანება დასჭირდა? მოვიგონოთ თუნდ დუბასოვის მიერ განთავისუფლებული და სემიონოვის ჯარის პოლკის მიერ კი მაინც დახვრეტილი სრულიად უდანაშაულო 19 წლის სტუდენტი გრიგორიევი. „სასტიკ“ დუბასოვსაც გადააჭარბა სემიონოვის პოლკმა; იქამდის გადააჭარბა, რომ დუბასოვიც კი ვერ დარჩა ყრუდ, როდესაც გამწარებულმა მამამ მოკლულისამ წერილი მისწერა: „რისთვის მოჰკალი ჩემი შვილი?“—სწერდა თურმე მამა,—„იგი არაფერში დამნაშავე არ იყო; არა თუ მავნე ორგანიზაციაში არ იყო, სტუდენტების კრებებსაც კი არ ესწრებოდა ხოლმე. მე თქვენ ამას ისე კი არ გეუბნებით, როგორც მამა... არამედ როგორც მეგობარი ჩემის შვილისა, მეგობარი, რომელმაც იცოდა იმისი სული და გული, იმისი აზრებიო გრძნობები“ დასასრულ გულმოკლული მამა ბრძანების კილოთი უთვლის გენერალ-გუბერნატორს: მოდი და ამიხსენი რად მოჰკალი ჩემი შვილი და ამით მაინც შემიმსუბუქე ვარამიო. „გესმით? მოდით!“ ასრულებს თავის წერილს.

დუბასოვმაც კი, როგორც ვსთქვით, ვერ გაუძლო ამ წერილს და გრიგორიევთან, ამ უბრალო და უცნობ კაცთან, გაგზავნა თავისი ადიუტანტი თავ. ვოლკონსკი. ვოლკონსკიმ მოკლულის დედ-მამას აჩვენა ქაღალდი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ სტუდენტი გრიგორიევი დამნაშავე არ არის და უნდა განთავისუფლდეს. ქაღალდს გვერდით ეწერა სტუდენტ გრიგორიევის ხელით: „წავიკითხე, სტუდენტი გრიგორიევი“.

— მაშ რაღად მოკლეს?—ჰკითხა მამამ ვოლკონსკის.

— უბედური შემთხვევის გამო!—დაამშვიდა ადიუტანტმა:—როდესაც ის საპყრობილედან გამოდიოდა, საიდანღაც გამოვარდა ტყვია და იქვე მოჰკლა.

სტუდენტის დედა ამ სიტყვებზე წამოდგა, მივიდა ხმის ამოუღებლად სკივრთან, ამოიღო ტუჟურკა შვილისა, ეს უკანასკნელი სახსოვარი, და თავადის წინ გაშალა. ტუჟურკას 14 ნატყვიარი ჰქონდა და მარცხენა ფერდის ალაგას ჩახეულიც იყო (ეტყობა ხიშტისაგან). თავადმა ვოლკონსკიმ ვეღარა სთქვა რა, გაფითრებულმა და დაბნეულმა დაავლო ხელი თავის ქაღალდებს და შერცხვენილი წავიდა.

**

აი, ამ გვარ გარემოებაში ვემზადებით „განახლებისთვის“ და განა საკვირველია, რომ მემარცხნე პარტიები არ ათავებენ კამათს იმის შესახებ, თუ როგორ მოექცნენ სახელმწიფო სათათბიროს. ამ საკითხის გამო თვით სოც.-დემოკრატიის პარტიაშიც კი უთანხმოებაა. ეგრედ წოდებული „უმრავლესობა“ ბოიკოტის მომხრეა, „უმცირესობა“ კი წინააღმდეგი. ორივე მხარე თავისებურად ასაბუთებს თავის ტაქტიკას. პეტერბურგში პარტიის მიერ გამოცემულ ქაღალდში მოყვანილია ორივე ფრაქციის აზრი და დასაბუთება. „უმრავლესობის“ აზრით სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობით ამ სათათბიროს ხალხში ნდობას მოუპოვებენ და ამითი შეასუსტებენ ბრძოლის ძალას ყალბ წარმომადგენლობის წინააღმდეგ. მეორე საბუთი ის არის, რომ, თუ პარტია აშკარად გამოვა ბრძოლის ასპარეზზე და დაასახელებს თავის საუკეთესო და გავლენიან წევრებს, ამითი პოლიციას ხელში ჩაუგდებს ამ წევრებს. რაც შეეხება პარტიის მოქმედებას, მან უნდა საარჩევნო კრებებით ისარგებლოს: ლეგალურად შეიყვანოს თავისი წევრები და არა ლეგალურად აგიტაცია გასწიოს.

„უმცირესობა“ წინააღმდეგია ბოიკოტისა და ამბობს, რომ მარტო ბოიკოტის გამოცხადება არაფერს მოიტანს; თუ პარტია ბოიკოტს გამოაცხადებს, გულ-ხელდაკრეფილი კი არ უნდა იჯდეს, უნდა აქტიურ ბრძოლისთვის გამოიყვანოს მთელი თავისი ძალა. ამ ფრაქციის აზრით, საფუძველს მოკლებულია ის მოსაზრება, ვითომ არჩევნებში მონაწილეობის მიღებით პოლიციას მივცემთ ხელში ჩვენ უკეთეს წევრებსაო. მთავრობას ხალხის გაპრიყვება

ცის, კალაგურანის, ვართაბლურის, აიდარბეკის, აკარაკის და ნოვოალექსანდროვკის მცხოვრებთ შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ სასოფლო-სამეურნეო თანხებიდან სესხი მიეცეთ სხვა და სხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. მთავრობას, როგორც გავიგეთ, აღნიშნულ სოფლელების თხოვნა შეუწყნარებია და ყველასთვის სესხი მიუცია.

◆ ქალაქის თვითმმართველობა ხარფუხის პირველ დარიბთა თავ-შესაფარს ჰკეტავს, რაც გამოიწვევს მეორე თავშესაფარის (დიდუბეში) სრულიად ავსებას. ამ თავ-შესაფარში მუდამ ღამ 100—150 კაცი ათევს ღამეს და თუ ხარფუხიდანაც მიემატნენ, მაშინ იმდენი ექნებიან, რომ ან უჰაეროდ დაიხრჩობიან ან რამე სენი გაჩნდება, რომელიც ამ ორი წლის წინადაც მძვინვარებდა.

◆ სოფ. ვაყა. გადასახადების ამკრეფად სოფელმა აარჩია რომანოზ გოგატიშვილი, რომელსაც უკვე აეკრიფა სახელმწიფო გადასახადები. 9 თებერვალს ღამის 12 საათზედ, ვიღაც შეიარაღებული უცნობები თავს დასხმიან ამ გოგატიშვილს და წაურთმევიათ ფული, მხოლოდ ჯერ არ ვიცით რამდენი. მეორე დღეს მოვიდა ხაშურის ბოქაული და დააპატიმრა გოგატიშვილი. იგი ამ ჟამად გორის საპყრობილეშია. ბოქაულმა სოფელს უთხრა, ხელმეორედ გააწერეთ და შეაგროვეთ ფულიო.

◆ ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა გენერალ-გუბერნატორის წინაშე, ნება მისცეს საჯარო ვაჭრობა მოახდინოს ერევნის მოედანზე.

◆ 14 თებერვალს ნაძალადევში 4 შეიარაღებული კაცი შეუვარდა სახლში ნაძალადევის მცხოვრებს იოსებ კალატოზიშვილს. თავდამსხმელთ ნივთები გაიტაცეს და მიიმალნენ.

◆ სარაჯევის ქარვასლაში, როგორც აღვნიშნეთ, 13 თებერვალს ნახეს დამხრჩალი გვამი კ. ვართანოვისა. ამ ბოროტ-მოქმედებაში ეჭვი მიიტანეს ტფილისის მცხოვრებ იარგულიანცზე, რომელიც უკვე დააპატიმრეს და პასუხის გებაში მისცეს.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 14 თებერვალი.*) უმაღლეს წრეებში დაბეჯითებით ამბობენ, რომ მალე გამოცხადდება უმაღლესი მანიფესტი, რომელშიაც სხვათა შორის იქნება გამოქვეყნებული ამნისტია ყველა პოლიტიკურ ტუსაღთათვის.

— სახელმწიფო სათათბიროს წევრების არჩევა უნდა მოხდეს 20 თებერვლიდან 10 მარტამდე. სათათბირო შეიკრიბება 27 აპრილს.

— გაზეთები ამბობენ, რომ ამ დღეებში გამოცხადდება კანონი, რომლით რუსეთში ისპობა სიკვდილით დასჯა.

— სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კრება ფინლანდიაში სწარმოებს, რადგან პეტერბურგში შეკრება აუკრძალეს.

— კონსტ.-დემოკრატების პეტერბურგის ბიუროს დახურვამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა, გაზეთები ჰკიცხავენ ამ განკარგულებას.

— ამიერ-კავკასიისა და ვლადიკავკავის რკინის გზებზე სულ დაუთხოვიათ 2400 მსახური.

— ვინახულე ქუთ. გუბერნატორად ნამყოფი ბ-ნი სტაროსელსკი. სამინისტროსათვის ანგარიში არ წარუდგენია და არც აპირობს, განზრახვა აქვს მოითხოვოს საჯარო სასამართლოში გადაცემა თავისის საქმისა.

პრესსა

14 თებერვალს გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ პირველად გამოვიდა ადმინისტრაციის განკარგულებით შეჩერების შემდეგ. ამ ნომერში მოთავსებულია, სხვათა შორის, ბ-ნ ალ. ხატისოვის პატარა წერილი დიდის სათაურით „თავისუფლება და წესიერება“. როგორც ყოველთვის, „ნოვოე ობოზრენიე“ ეხლაც უგემურად და უნიჭოფოდ დასტრიალებს გარეშემო კავკასიის ერთა ურთიერთობას. ბ-ნი ხატისოვი, მაგალითად, სწერს:

> დროა, რომ თვით მცხოვრებნი დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ჩვენ ხომ ყველანი—კავკასიელნი ვართ, მაგრამ აგერ მთელი წელიწადია, რაც თითოეული ერი თავის საკუთარ საქმეს აკეთებს და სიტყვას „კავკასიელს“ არც კი ხმარობს, არაფერს ამბობს—კავკასიის საქმეებზე და თვით მმართველობს ქართულ, სომხურ, თათრულ, გურულ და სხვა ინტერესებში. გული გვტკივა, რადგან ასეთი მდგომარეობა გვაშორებს სხივთა მფრქვევს მომავალს.

რატომ სტკივა ბ-ნს ალ. ხატისოვს გული, ჩვენ კარგად მაინცა და მაინც არ გვესმის, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ბ-ნი ხატისოვი ტფილისში სცხოვრობს და დღევანდლამდე ვერ გაუგია, რომ ქართველები და გურულები—ორი სხვა და სხვა ერი კი არა, ერთი ერია. ეს გაუგებრობა რამდენადმე შესაწყნარებელი იქნებოდა, ბ-ნი ხატისოვი რომ ასე ხმა-მაღლა არ ჰყვიროდეს, ყველანი ერთმანეთს უნდა დაუახლოვდნენო. მაგრამ, მაინცა და მაინც რა ძალა ადგა ბ-ნს ხატისოვს, რომ დაახლოვებას ქადაგებს და იმავე დროს იმათაც კი ანცალკევებს, ვინც ბუნებრივად დაკავშირებულნი არიან. ნუ თუ ესეც „კავკასიის საქმეების“ შესაქმნელად არის საჭირო? ან იქნება ბ-ნ ალ. ხატისოვის ენამ უსწრო იმის გონებას და იმიტომ დაუპირდაპირა ქართველები გურულებს?—ესეც შესაძლებელია.

სრული წელიწადია, რაც ქართველი ერი თითქმის ერთად-ერთი ეწევა კავკასიაში, შეძლებისამებრ, ბრძოლას რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ყველა ერების საერთო ინტერესებისთვის და ბ-ნი ხატისოვი კი გაიძახის, რატომ კავკასიის საქმეებზე არ ლაპარაკობენ ქართველები და გურულებიო. უკაცრაოდ, ბ-ნო ხატისოვო, მაგრამ ის არა სჯობია სომხებმა და თათრებმაც დაანებონ თავი წყალ-წაღებულ და მითოლოგიურ „კავკასიის საქმეებს“ და პირდაპირ იბრძოლონ იმისთვის, რისთვისაც მთელი რუსეთი იბრძვის? ან რა არის ეს კავკასიის საქმეები? რატომ არ იქნა და ვერ გამოარკვიეს ბ-ნმა ხატისოვმა და იმისმა თანამოაზრეებმა ამ ადმინისტრატიულ ტერმინის „კულტურული“ შინაარსი.

ღია წერილი გაზეთის მკითხველებს

გაზეთის კითხვის მოთხოვნილება, ამ უკანასკნელ დროს, სოფლად ძალიან გაფართოვდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მომეტებულთ სოფლად ხელმოკლეობა არ აძლევთ ნებას დაიკმაყოფილონ ეს სულიერი მოთხოვნილება, ამისათვის უმორჩილესის თხოვნით მივმართავთ საზოგადოების შეგნებულ ნაწილს მოგვაწოდონ ხოლმე წაკითხული ნომრები ქართულ გაზეთებისა გასაგზავნად სოფლად. სასურველია გაზეთები იგზავნებოდეს, რაც შეიძლება მალ მალე, მხოლოდ არა უგვიანეს ერთის კვირისა.

გაზეთების გაგზავნა შეიძლება შემდეგ ადგილებში: 1. „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“, სასახლის ქუჩა; 2. ნიკოლაევის ქუჩა, № 6 ვახვახიშვილისას; 3. არწრუნის ქუჩა, № 55 (ვერაზე) ფალავანდიშვილისას; 4. ავლაბარში, სრეტანის შესახვევი, სახლი მამრაძისა; 5. მამადავითში მეექვსე ქუჩა, № 11, სოლოღაშვილს; 6. მუხრანის ქუჩა, სახლი რომანიშვილისა, № 11, ქუმსიშვილისა.

—

ჩვენ განვიზრახეთ ხელმოკლე გლეხთა დახმარება უსასყიდლო გაზეთების შეძენით. გაზეთები შეგროვდება ქალაქებში, საჭიროა სოფლის ინტელიგენციის დახმარება გაზეთების დარიგებაში და წაკითხვაშიც იქ, სადაც ამას თვით გლეხნი ვერ მოახერხებენ, ამისათვის უმორჩილესად ვთხოვთ სოფლის ინტელიგენციას მოგვაწოდონ თავიანთ ადრესები, ვისაც შეუძლიან თავს იდოს ეს არა ძნელი საქმე.

მსურველთ ვსთხოვ თავიანთი ადრესები გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: ქ. ტფილისი, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 6, ბინა 13. ვახვახიშვილისა.

წესები

სახელმწიფო სათათბიროს წევრთა არჩევნების მოხდენისა კავკასიაში.

1. კავკასიის გუბერნიებსა და ოლქებში წევრების არჩევა სახელმწიფო სათათბიროში უნდა მოხდეს იმ საერთო წესებით, რომელიც უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა 1905 წ. 6 აგვისტოს დებულებით სახელმწიფო სათათბიროში, 1905 წ. 18 სექტემბერს დამტკიცებულ წესით სახელმწიფო სათათბიროს დაარსებისა და არჩევნების შესახებ და 1905 წ. 11 დეკემბერს გამოცემულ ბრძანებისა უმართებლეს სენატისადმი ზემოხსენებულ დებულების შეცვლის შესახებ, შემდეგის ცვლილებით:

2. რაოდენობა კავკასიის გუბერნიებიდან, ოლქებიდან და ქალაქებიდან სახელმწიფო სათათბიროში გასაგზავნ წევრებისა, საერთო რიცხვი ამომრჩევლებისა თითო გუბერნიაში და ოლქში და მათი განაწილება მაზრებში, ოლქებში, განყოფილებებში და კრებებში აღნიშნულია ამ წესების დამატების სიებში.

3. არჩევნების მოხდენაში ზაქათალის ოლქი უერთდება დაღესტნის ოლქს და მასთან ერთად ერთ საარჩევნო ოლქს შეადგენს. შავი ზღვის გუბერნია უერთდება ყუბანის ოლქს და მასთან ერთად შეადგენს ერთ საარჩევნო ოლქს. სოხუმისა და ბათუმის ოლქებიც შეადგენენ ერთ საარჩევნო ოლქს.

4. თვითეულ მაზრასა, ოლქსა, ან განყოფილებაში უნდა შესდგეს სამი საარჩევნო კრება: ა) მემამულეთა კრება, ბ) ქალაქების ამომრჩევლთა კრება და გ) კრება სასოფლო ურიდობების და სამამასახლისოების რწმუნებულებისა. ზემოხსენებულ სამ კრების გარდა ყუბანის ოლქში და თერგის ოლქის იმ ნაწილებში, სადაც ყაზახთა სტანიცები არიან, უნდა დაარსდეს განსაკუთრებული კრება ყაზახთ წარმომადგენლებისა.

5. თერგისა და ყუბანის ოლქებში და შავიზღვის გუბერნიაში უნდა შესდგეს ორი საოლქო საარჩევნო კრება: ერთი—ყაზახთა სტანიცების რწმუნებულებისგან, მეორე—დანარჩენ კრებების ამომრჩევლებისგან (მუხ. 4). თითო ასეთი კრება ირჩევს იმდენს წევრს სახელმწიფო სათათბიროში, რამდენიც აღნიშნულია ქვემოდ-მოყვანილ სიის მეორე მუხლში.

6. არჩევნების მოსახდენად, თუ საჭირო იქმნება, კავკასიის ნამესტნიკს ნება ეძლევა ერთ და იმავე გუბერნიაში ან ოლქში: ა) შეაერთოს ცალკე მაზრები ან განყოფილებანი და დანიშნოს შეერთებული საარჩევნო კრებები; ბ) ამა თუ იმ მაზრაში ან განყოფილებაში მემამულეთა კრება შეუერთოს ქალაქების ამომრჩეველთა კრებას, ან ქალაქების ამომრჩეველთა კრება შეუერთოს მემამულეთა კრებას და გ) ამ მაზრისა, ოლქისა და განყოფილების რწმუნებულნი შეუერთოს მეორე მაზრის ან ოლქის რწმუნებულთა შესაფერ კრებას.

7. ამომრჩეველნი მუშების მხრით, რაიც მოხსენებულია 11 დეკემბრის 1905 წლის უმაღლეს ბრძანების მეხუთე მუხლში, უნდა არჩეულ იქმნენ საზოგადო წესებით. ქვემო დასახელებულ ქალაქებს და გუბერნიებში მუშები ირჩევენ: ბაქოს გუბერნიაში და ბაქოში 4 ამომრჩეველს, ბათუმის ოლქში—1, ქ. ტფილისი და ტფილისის გუბერნია—2 და ყუბანის ოლქი და შავი ზღვის გუბერნია ერთად—2.

8. ტფილისისა და ბაქოს გუბერნიებში მუშათა ამომრჩევლების საერთო რიცხვი უნდა განაწილდეს ზემოხსენებულ გუბერნიებსა და ქალაქებს შორის საგუბერნიო საარჩევნო კომისიის მიერ იმისდა მიხედვით, თუ რამდენი მუშაა საქარხნო-საფაბრიკო, სამთო და სამთო-საქარხნო დაწესებულებებში, ან რკინის გზების სახელოსნოებში, რომელნიც ან ქალაქში, ან გუბერნიაში იმყოფებიან.

9. იმ მაზრებისა, ოლქებისა და განყოფილებების რწმუნებულთა კრება, რომელთა სამმართველო ქალაქში არ იმყოფება, უნდა დაინიშნოს იმ ადგილზე, სადაც გუბერნატორი ან ოლქის უფროსი უჩვენებს.

10. მემამულეთა საარჩევნო კრებებში პირდაპირს მონაწილეობას იღებენ: ა) ამიერ-კავკასიის გუბერნიებსა და ოლქებში ისინი, ვინც მამულზე ან სხვა რაიმე საკუთრებაზე (გარდა იმათი, ვინც მოხსენებულია სახელმწიფო სათათბიროში საარჩევნო დებულების (გ) მე-16 მუხ.) წელიწადში იხდიან არა ნაკლებ 15 მანეთისა საერთო გადასახადს; თერგისა და ყუბანის ოლქებში—ისინი, ვინც წელიწადში იხდიან არა ნაკლებ 3 მანეთისა და 30 კაპ. სახელმწიფო სამამულო გადასახადს; ბ) ის მოურავები, რომელიც ერთი წლის განმავლობაში ხელწერილისა და ან მინდობილების ქაღალდის ძალით განაგებენ ისეთ მამულს (ამიერ-კავკასიაში), რომელნიც წელიწადში იხდის არა ნაკლებ 15 მან. საერთო გადასახადს; ყუბანისა და თერგის ოლქებში კი ისეთ მამულს, რომელიც წელიწადში იხდის არა ნაკლებ 3 მან. და 30 კაპ. სამამულო გადასახადს, და გ) ის პირნი, რომელთაც ხელწერილით იჯარით აქვთ აღებული ისეთი მამული, რომელიც ზემოხსენებულ გადასახადზე ნაკლებს არ იხდის წელიწადში.

11. ისინი, ვინც წელიწადში თავიანთი მამულზე, რომელიც იმყოფება მაზრაში ან ოლქში, იხდიან ზემოხსენებულ გადასახადზე ნაკლებს, არჩევნებში მონაწილეობას იღებენ მინდობილებით. მაგრამ თუ ისინი ქალაქის ამომრჩეველთა კრებას შეუერთდნენ, მაშინ მათ ნება ეძლევათ არჩევნებში პირდაპირი მონაწილეობა მიიღონ.

12. არჩევნების მოსახდენად ქალაქებს უერთდებიან შემდეგი დაბები: ართვინი (ბათუმის ოლქში), ზუგდიდი და რედუტ-კალე (ქუთაისის გუბ.), სალიანი (ბაქოს გუბ.), ყაგიზმანი, არდაგანი და ოლთი (ყარსის ოლქში).

13. სამამასახლისოების სასოფლო ურიდობების მხრით რწმუნებულთა ასარჩევად კავკასიის (გარდა ბათუმისა და ყარსის ოლქებისა) სოფლები, კოლონიები და აულები უნდა შეერთდნენ იმ წესით, რომელიც შედგენილ იქმნება საგუბერნიო და საოლქო ადმინისტრაციის მიერ და დამტკიცებულ იქმნება ნამესტნიკის მიერ. ნამესტნიკის ბრძანებით შეიძლება ასეთივე წესით შეერთდნენ ყაზახთა პატარა სოფლები.

(შემდეგი იქნება)

რუსეთი

დურნოვო და ადმინისტრაციის თვითნებობა. მინისტრთა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე, როგორც „რუს. ვედ.“-ი გვატყობინებს, ვიტტეს უთქვამს დურნოვოსთვის, საჭიროა ალაგმოთ გუბერნატორების თვითნებობაო. რამდენსამე წევრს საბჭოსას ვიტტესათვის მხარი დაუჭერიათ. დურნოვოს უპასუხნია, მაშინ მეც უნდა სამსახურს თავი დავანებოო. აი რაზედ არის დამყარებული დურნოვოს უფლება.

ვიტტეს უკმაყოფილება. გრაფ ვიტტეს ერთ სხდომაზე განუცხადებია, რომ მინისტრები საკმაოდ არ არიან მომზადებულნი სახელმწიფო სათათბიროსათვის; დარჩა სულ 2 თვე სათათბიროს შეკრებამდის და დროა, მინისტრები მხარებს შეუდგნენო. ვინც იმის პოლიტიკას არ ეთანხმება, ისინი ვიტტეს, აზრით უნდა სამსახურიდან წავიდნენ.

დათხოვნა. როგორც გაზეთი „რუსი“ იტყობინება, დეკემბრის არეულობის დროს უკანასკნელის ცნობით მოსკოვის რკინის გზის ლიანდაგზე დაუთხოვნიათ: 4 სასამსახურო ნაწილის უფროსი, 86 მემანქანე, 125 კონტორის მოხელე და 317 მუშა.

პეტროპავლოვსკის საპყრობილეს გაუქმება. როგორც გაზ. „რუსკ. ვედ.“-ს ატყობინებენ, გადაწყვეტილია, პეტროპავლოვსკის ციხე გადაეცეს სამხედრო უწყებას და სამუდამოდ მოისპოს იქ „პოლიტიკურ დამნაშავეების“ დაპატიმრება. პეტროპავლოვსკი მეორე შლისელბურგია.

მოსკოვის ამბების გამოძიება. მინისტრ აკიმოვს მოუთხოვნია საბუთები და ქაღალდები მოსკოვის რევოლიუციის ჩაქრობის შესახებ. მინისტრს თვით მოუწადინებია ამ საქმეების გაცნობა.

გენ. ორლოვის მოხსენება. გენერალ ორლოვს ბალტიის მხრიდან გაუგზავნია მოხსენება იქაურ ამბების შესახებ. გენერალი სწერს, ბალტიის მხარე დამშვიდდა, მაგრამ ჯარის გაყვანა ჯერ საშიშიაო. გენერლის აზრით, ჯარი უნდა დარჩეს იქ მაისის გასულამდის, რადგან მაისში შესაძლებელია ხელახლად ასტყდეს არეულობა მუშათა დღესასწაულის გამო, რომელსაც ბალტიის მხარეში ახალის სტილითაც უქმობენ და ძველითაც. გენერალი ამბობს, წელს ეს დღესასწაული მეტად საშიში იქნება კიდევ იმიტომ, რომ უცხოეთიდან აპირებენ მოსვლას დელეგატები. დასასრულ ორლოვი თხოულობს მე-2 მსროლელ ბატალიონის, მაგივრად სხვა ჯარი გაუგზავნონ, რადგან ბატალიონი ძლიერ დაიღალა. მოხსენების გამოგზავნის დღემდის ორლოვს სიკვდილით დაუსჯია 259 კაცი.

გლეხთა მოძრაობა. მოსკოვში მიუღიათ ამბავი, რომ გლეხების მოძრაობა ხელახლად მწვავდება. ზოგიერთი მსხვილი მემამულე მამულს ჰყიდის შეღავათიან პირობებით და სოფელს თავს ანებებს. საგლეხო

სურს და სურვილის მისაღწევად უნდა არჩევნები მოახდინოს. ამისთვის ერთად-ერთი გზა ის არის, რომ პირველ ხანებში ამორჩეულებს ხელი არ ახლოს. ამ ხანში-კი პარტია მოასწრებს ხალხის შეკავშირებას და, როდესაც მთავრობა გადაწყვეტს სათათბიროს გაუქმებას და ძალით გასრესას მემარცხენე პარტიებისას, პარტია საკმაოდ ძლიერი იქნება და მთავრობისა აღარ შეეშინდება. თუ პროლეტარიატი არჩევნების დროს შეკავშირებული და ძლიერი იქნება, იგი გლეხობასაც და წვრილ ბურჟუაზიასაც თავის მხარეზე გადაიყვანსო.

ასე ასაბუთებს სოციალ-დემოკრატების ორი ფრაქცია თავის ტაქტიკას. უნდა ვთქვათ, რომ ორივეს საკმაოდ საფუძვლიანი მოსაზრება აქვს, მაგრამ ნაადრევი არ არის ეს მოსაზრება? იქნება მთავრობას სურს ეხლავე გააუქმოს ფაქტიურად სათათბირო? ან იქნება არჩევნები ისე მოახდინოს, რომ მარტო „უფლებრივ წესიერების“ პარტიისა და „17 ოქტომბრის კავშირის“ კანდიდატები გავიდნენ? რა ძალა აქვთ მაშინ სოც.-დემოკრატებს ამის წინააღმდეგ საბრძოლველად? აი ამაზე უნდა ვიფიქროთ ჯერ, თორემ ასეთი ბჭობა ხომ იმ დათვის ტყავის გაყოფას ეგვანება, რომელიც ჯერ არ მოუკლავთ. ჯერ-ჯერობით საქმე ისე მიდის, რომ უმრავლესობა კენჭის ყრის დროს, ალბად „17 ოქტომბრის კავშირს“ და ვაჭარ-მრეწველთა პარტიას უნდა ერგოს. პარტიაც ჰგრძნობს ამას და სცდილობს ხელიდან არ გაუშვას მომავალი გამარჯვება. სხვა ლეგალურ პარტიებზე მეტ მხნეობას ეს პარტია იჩენს და ყოველისავე საშუალებით (ხშირად არა სინიდისიერითაც-კი) სცდილობს მიიზიდოს ხალხი.

ერთი ამგვარი მაგალითი პარტიის კიევის ჯგუფმაც გვაჩვენა. იქ 20 იანვარს სავაჭრო-სამრეწველო პარტიამ საარჩევნო კრება გამართა. კრება გახსნა პარტიის წევრმა ჩოკოლოვმა, რომელმაც შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „ჩვენ ისეთი კაცი უნდა ავირჩიოთ წარმომადგენლად სახელმწიფო სათათბიროში, რომელიც არ დაუმეგობრდება უკიდურეს პარტიებს, რომელთა აზრებიც რუს ფსიხოპატების მეოხებით ხალხში გავრცელდაო.“ ამის შემდეგ ილაპარაკა მეორე ორატორმა, რომელმაც სთქვა შემდეგი: „თქვენ უნდა ფრთხილად მოექცეთ ბეჭდვით სიტყვას. მე გამოვიანგარიშე და გამოვიდა, რომ ადგილობრივ 42,000 გაზეთებში სტრიქონიდან მხოლოდ 800 სტრიქონი იყო მართალი... ჩვენმა წარმომადგენელმა არ უნდა მიუგდოს ყური უკიდურეს პარტიებსაც, რომელნიც თხოულობენ სიმდიდრის თანაბრად განაწილებას.“ ამ დროს ხალხში გაისმა ვიღაცის ხმა: „ეს რა სისულელეებსა სჩმახავსო.“ დასასრულ ისევ პირველმა ორატორმა ილაპარაკა და სთქვა: რისთვის გვინდა ჩვენ განუსაზღვრელი თვითმპყრობელობა? იმისთვის, რომ სხვა ხალხოსნობამაც იცხოვროს... წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ხალხი გასრესს მათაო.“

—მე პროტესტს ვაცხადებ,—გულ-ამღვრევით წამოიძახა ერთმა ორატორმა:—ვინ მოგცათ ნება, ბ-ნო ჩოკოლოვო, რომ რუსის ხალხს მიაწეროთ მაგგვარი ინსტიქტი? რა უფლება გაქვთ სთქვათ, რომ რუსები გასრესენ სხვა ხალხოსნობასაო? საიდან იპოვნეთ რუსებში ასეთი ველური ინსტიქტი?

„17 ოქტომბრის კავშირის“ კრებაზედაც ქ. ვორონეჟში პარტიის წევრთა შორის იმავ ძირითადმა განსხვავებამ იჩინა თავი. ისინი სულ სხვა და სხვა ენაზე ლაპარაკობენ: ერთნი თუ თვითმპყრობელობის დამცველად გამოდიან, მეორენი კონსტიტუციისა და დემოკრატიულ რეფორმების საჭიროებას ამტკიცებენ. ისე რომ ამ პარტიების წევრების უმრავლესობა თავის აზრებით უფრო კონსტიტუციონურ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთნის. ამ პარტიებში კი ზოგი უცოდინარობით შედის, ზოგი კიდევ შიშით, რადგან მთავრობა სდევნის კონსტიტუციონურ-დემოკრატიულ პარტიის წევრებს. ამისი მაგალითი ამას წინად გაზ. „ნაშა ჟიზნ“-მაც მოგვიყვანა. ერთი მოქალაქისაგან რედაქციას მიეღო წერილი. ავტორი სწერდა, რომ კონსტიტუციონურ-დემოკრატიულ პარტიას თანავუგრძნობ, არჩევნების უფლება მაქვს, მაგრამ მეშინიან ჩემის უფლების განხორციელებისაო.

* *

ასეთ შიშით დაკრძალვით გაჟღენთილ ატმოსფერაში ვცხოვრობთ დღეს და ამისთანა დროს ხომ ყოველი ქვემძრომი წამოჰყოფს ხოლმე თავს და გულადი ხდება. ასე გაგულადდნენ რუსების კაპიტალისტებიც, რაკი დაინახეს, რომ მუშა ხალხი მოიღალა ბრძოლით და მთავრობა რევოლიუციის შიშით რეაქციის გზას დაადგა. სცდილობენ ეს რეაქცია და თეთრი ტერორი თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ. ამისთვის არავითარ საშუალებას არ ერიდებიან. ჩვენ გვეგონა, რომ მუშა ხალხმა ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ ასე თუ ისე გაიუმჯობესა შრომის პირობები. რაც ხანი მუშათა მოძრაობა იყო, დაწესდა სამუშაო დღის რაოდენობა, ქარხნის პატრონთა პასუხის მგებლობა, დახმარება განსაზღვრულ შემთხვევებში და გაფიცვის დროს ჯამაგირის მიცემა. ეხლა კი ბირჟის კომიტეტს უთხოვნია მთავრობისთვის მოქმედების თავისუფლება. კაპიტალისტები უჩივიან მომრიგებელ მოსამართლეებს: ისეთ განაჩენებს ადგენენ, რომლის ძალითაც მუშებს უნდა მიეცეთ ჯამაგირი გაფიცვის დროსაცაო. ამასთან ქარხნის პატრონები დაბეზღებასაც კი არ ერიდებიან და ამბობენ: „ამისთანა საქმეებში მუშების დამცველებად გამოდიან ცნობილ პოლიტიკურ მიმართულების ვექილები. ესენი მოსამართლეების კამერებს იმ აზრების საპროპაგანდო ადგილებად აქცევენ, რომლითაც სავსეა ყველა პროკლამაცია მუშებისადმი. სასამართლოს პროცესი ამგვარ მსვლელობას, მეტადრე მოსამართლეების განაჩენს, რომლის ძალითაც მუშას გაფიცვის დროში ჯამაგირი ენიშნება, გამხრწნელი გავლენა აქვს მუშებზე; ასევე განაჩენი და გასამართლების პროცესი მუშებს უმატებს გაფიცვების დაუსჯელობის რწმენას და საქმეს უფრო აძნელებს“. ქარხნის პატრონნი ეხვეწებიან მთავრობას, გამოსცეს ისეთი კანონი, რომლის მეოხებითაც ადვილი იყოს გაფიცვების წინააღმდეგ ბრძოლა. მთავრობა მალე აასრულებს ხოლმე მექარხნეთა და ამგვარ წრის წევრთა შუამდგომლობას მეტადრე, თუ ზემოხსენებულ შუამდგომლობასავით არის შეზავებული. შუამდგომლობის შემდეგ მალე, ძლიერ მალე გამოვიდა სენატის განმარტება, რომლის ძალითაც ქარხნის პატრონი ვალდებული არ არის გაფიცვის დროის ჯამაგირი აძლიოს მუშებს.

„ტორგ. პრომიშ. გაზ.“-ს მოჰყავს ეს განმარტება და ულოცავს კაპიტალისტებს გამარჯვებას. თან ამბობს, ეს გადაწყვეტილება თვით მუშებისათვისაც სასარგებლოა, რადგან ამის მეოხებით რუსეთის მრეწველობა არ დაეცემაო. თითქოს კრიზისი რუსეთში სულ გაფიცვების საქმე იყოს! იქამდის როგორ მივიდა ლაქიაობა რუსეთის მრეწველობის წარმომადგენლებისა, რომ დაივიწყეს ნამდვილი მიზეზი კრიზისისა? ნუ-თუ არ იციან, რომ კრიზისის მიზეზი რეაქციაა, იმის მიერ ქვეყნის დაშინებაა, თავისუფლების დახშობა და სახლ-კარის განადგურება? ვითომ დაივიწყეს ესა? არა, არ დაივიწყებიათ. მათ მხოლოდ რეაქციის ლაქიობა ალაპარაკებთ, ან კიდევ ის, რომ დაინახეს პატარა ლუკმა, რომელიც იმათ ჯამში უნდა ჩავარდნილიყო. ეს ლუკმა არის მუშის ოფლით ნადაგი და ტანჯვით მონაგარი (რადგან ბრძოლის დროსაც სჭირდება ტანჯვა და არა თუ ოფლისა, სისხლის ღვრაც).

ღირსია განა ასეთი ბურჟუაზია თავისუფლებისა? არა და ათასჯერ არა. იგი ღირსი არ არის ამისი და არც სურვილი აქვს. ამიტომ არის, რომ თავისუფლების საქმე დღეს ასე შეფერხებულია რუსეთში. მშრომელი ხალხი ჯერ სავსებით არ არის განვითარებული, რომ ვაანთავისუფლოს ქვეყანა; ბურჟუაზიამ კი არ იცის ფასი თავისუფლებისა; იგი ლაქიობას უნდება. სულ ცოტაც კიდევ და მშრომელი ხალხი შეკავშირდება, გაიმართება წელში და გაგვანთავისუფლებს ყველას, ჯოხით გამოაგდებს წმინდა ჰაერზე დახშულ ჰაერში მოკალათებულ ბურჟუაზიასაც.

---

*) ეს დეპეშები დაგვიანდა, რადგან შესწორება დასჭირდა ტელეგრაფით ზოგიერთ დამახინჯებულს სიტყვებს.

ბანკი ყიდულობს დ. ნ. შიპოვისა და ბეზობრაზოვის მამულს. თავ. ს. ბ. მეშჩერსკიმ თავის მამული იჯარით გადასცა გლეხებს შეღავათიან პირობებით. ატკარსკის მაზრიდან (სარატოვის გუბერნიაში) მოდის ამბები აგრარულ მოძრაობის განახლების შესახებ. გლეხები ყრილობებზე ბევრს ლაპარაკობენ გლეხების სიღატაკეზე და „დამატებით" მიწების საჭიროებაზე. ლაპარაკობენ აგრეთვე, ვითომ გამოსულიყვეს განკარგულება 17 ოქტომბრის მანიფესტის გაუქმების შესახებ.

ვიტტესი და დურნოვოს მთავრობის მომხრენი სცდილობენ დაარწმუნონ ხალხი, რომ გაზაფხულზე აგრარული მოძრაობა არ იქნებაო. გლეხები კი ამის შესახებ თურმე სულ სხვას ამბობენ.

გაზ. „კავკ. ტელ."-ში მოყვანილია გლეხ ხმოსნების აზრი, ყაზანის გუბერნიაში ერობის ხმოსანთა კრებაზე გამოთქმული. იმათ მიუმართავთ ხმოსან თავად-აზნაურებისათვის და უთქვამთ მეტის თანაგრძნობით მოეპყრან გლეხების საჭიროებას, ხელი შეუწყონ გლეხებს „ნადელების" გაფართოებაში საბატონო მიწების შესყიდვით, თორემ უბედურება დატრიალდება. „ივიღებთ ჩვენ ამ მიწას და დაუკითხავად გავიყოფთო".

ხმები ჯარის აჯანყების შესახებ. როგორც გაზ. „ვეჩ. გოლ"-ს ატყობინებენ, ირკუტსკში ჯარი ხელ-ახლა აჯანყებულა.

უკანასკნელი სესხი. „ვეჩ. გოლ."-ის სიტყვით, ბიუროკრატიულ წრეებში ხმა დადის, უკანასკნელი სესხი, რომელიც კოკოვცევმა მოახერხა, რუსეთს იმ პირობით მისცეს, რომ ახალწლამდის არავისაგან საზღვარ-გარედ არავითარი სესხი აღარ აიღოს.

ერთი მინისტრი ორ სამინისტროს სათავეში. გ ზ. „რუსი" გადმოგვცემს, რომ დურნოვო სცდილობს მიწათ-მფლობელობის და მიწათ-მოქმედების მთავარი სამმართველო გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს. ამ გვარად, თუ დურნოვო შინაგან საქმეთა მინისტრად დარჩება, ორ სამინისტროს სათავეში იდგება.

სასახლის პარტია მარცხნივ იწევს. „ვეჩერ. გოლ."-ს გაუგია, რომ ცარსკოე სელოში საბოლოოდ გადასწყვიტეს მარცხნივ მიწევა. გრაფ ვიტტეს უკვე აგრძნობინეს, რომ დრო არის პოლიტიკა შესცვალოს.

წერილები

ქიზიყი. განმათავისუფლებელ მოძრაობის მიყურებასთან ერთად ჩვენსკენ გახშირდა ათასგვარი ბოროტ-მოქმედება. ამ ორი კვირის წინად სოფელს ბოდბისხევის მცხოვრებ გიორგი მოლოდინაშვილს დიდი უბედურება ეწვია. ერთს დილას მეზობლებმა თავზარდამცემი ამბავი შეატყობინეს. „შენს კალოზე —რომელიც სოფლის ბოლოზე ჰქონდა გამართული —შენი ორი ვაჟიშვილი ყელებ-გამოჭრილი ვნახეთო". ამ საზარელ ამბისაგან გარეტიანებული მშობლები გაქანდნენ კალოზე და ის თქვენს მტერსა და მაწყევარს, რაც მათ ნახეს. მართლაც, იმათი ორი, —ერთი თორმეტისა, მეორე—რვაწლის—ვაჟიშვილისათვის ვიღაც ხელ-აღებულ და გამხეცებულ ადამიანს უწყალოდ გამოეღადრა ყელები და ისე უსულონი გულ-შემზარავად გომის კარებთან დაეყარნა... ბოროტ-მომქმედს თან ერთად-ერთი ცხენიც წაეყვანა. ბოლმისაგან გაშმაგებულ მშობლებს ჯერ ვერ მოესაზრნათ, ვინ იქმნებოდა მათი დუშმანი და კერია გამციებელი, მაგრამ ცოტათი რომ გონს მოვიდნენ, თითზე იკბინეს—შეიძლება ეს უბედურება ჩვენთან მოჯამაგირედ ნამყოფმა ჯიმითელმა სოსიამ გვიყოსო. გიორგი მოლოდინაშვილი მეორემესამე დღეს გამოედევნა სოსიას, რომელიც ცოტათი ავ-გულად იყო გიორგისთან, „გიორგიმ ჯამაგირი დამხუთაო". სოსიას კვალი გიორგიმ ყვარელში მიიტანა. ცხენიც იმას აღმოაჩნდა. „სტრაჟნიკების" შემწეობით სოსია მაჩხაანის ბოქაულთან მოიყვანა, სადაც იგი გამოტყდა ყოველსავე ბოროტ-მოქმედებაში. მხოლოდ თან ის აღიარა, რომ ამ ავკაცობის ჩადენაში ჩემთან ამხანაგად ბოდბისხევის მცხოვრები ფილიმონ ზარიაშვილიც იყოო. ფილიმონიც შეიპყრეს. ამბობენ, ფილიმონსა და გიორგი მოლოდინაშვილს წინად ერთმანეთთან რაღაც უსიამოვნება ჰქონდათო. ვნახოთ, რით გათავდება ეს საზარელი ამბავი და შემდეგი გამოძიება რას გამოარკვევს...

„ცნობის ფურცელში" თავის დროზე დაწვრილებით იყო აღნუსხული ის სასწავლო პროგრამა, რომელიც წარსულ აგვისტოში სამაზრო მეთვალყურეთა კრებამ შეიმუშავა და საოლქო სამოსწავლო საბჭოს წარუდგინა განსახილველად დასამტკიცებლად. მაშინ მეთვალყურეთა კრებული იმ აზრისა იყო, რომ უკეთუ ჩვენ მიერ შემუშავებულ პროგრამას არ დაამტკიცებენ, სამრევლო სასწავლებლებში სწავლა არ განახლდებაო, მაგრამ დრონი იცვალნენ, დაჰბერა ცივმა ნიავმა და მეთვალყურეთაც სასტიკი მოწერილობანი მოუვიდათ—დაუყოვნებლივ შეუდგნენ მასწავლებლები სწავლებას სამრევლო სასწავლებლებში ძველის პროგრამით, ცოტაოდენის განსხვავებით, მაგ. სადმრთო სჯული დედა-ენაზე ისწავლებოდესო და სხ. რადგან მეთვალყურეთა მიერ აგვისტოში შემუშავებული პროგრამა სამრევლო სკოლებისა განხილვაშია და ვინ იცის მიზეზებისა გამო სხვათა და სხვათა როდის ეღირსება დადასტურება-დამტკიცებასაო,—მასწავლებელნი დაემორჩილნენ ბედს და ყველა სასწავლებლებში განახლდა სწავლა.

ამასთანავე აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც ნოემბერში ტფილისის საეპარქიო საბჭოს სიღნაღის განყოფილების წევრთ საბჭოს წარუდგინეს დადგენილება წევრობიდან გადადგომის შესახებ საბუთებიც მოჰყავდათ თავისის გადაწყვეტილებისა. ამ ბოლო ხანებში სიღნაღის განყოფილებას მოწერილობა მოუვიდა—ხომ არ გადაიფიქრეს წევრთ წევრობაზე ხელის აღება და თუ არა, გამოგზავნეთ ფაქტიური დასაბუთება თქვენის გადაწყვეტილებისაო. სიღნაღის განყოფილების წევრთ ის აზრი გამოსთქვეს და დაადგინეს, რომ შეიძლება განყოფილების წევრებად დარჩენა მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ სიღნაღის განყოფილებას თავისს მოკლე ფარგალში მაინც ცოტაოდენ თვით-მოქმედების თავისუფლება მიეცემაო.. ვნახოთ რა გამოვა რისაგან...

ყველივრის დროს ტარებამ ჩვენსკენაც გულ-ცივად ჩაიარა. ლხინ-ქეიფისათვის ვისა სცალიან, როდესაც ნიადაგ დღე იმის შიშში ხარ „ეგზეკუცია" არ ჩაგვიყენონ და არ აგვაწიოკ-აგვიკლონო. x.

დეპეშა

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

13 თებერვალი

ელატმა, 13 თებერვალი. ციხის ტუსაღებმა არეულობა მოახდინეს და დაანგრიეს ორი ფეჩი. ტუსაღთა უმეტესობას პოლიტიკური დამნაშავენი შეადგენენ.

კოპენჰაგენ, 13 თებერვალი. დილით დონდონს წავიდა ინგლისის დედოფალი.

პეტერბურგი, 13 თებერვალი. პუტილოვის ქარხნების დირექტორს ინჟინერ ლაზარევს ხუთჯერ ესროლეს რევოლვერის ტყვია და იქვე მოჰკლეს. მკვლელი მიიმალა.

ოჩაკოვი, 13 თებერვალი. მოწმეების შეკითხვა თავდება. ხვალ კამათი დაიწყება, განაჩენს ხუთშაბათს გამოიტანებენ ალბათ. საყურადღებოა იმ მატროსების ჩვენება, რომელნიც დეპუტატებათ იყვნენ შმიდტათ გაგზავნილი, რათა ეთხოვნათ მისთვის მატინგზე შმიდტი მოუწოდებდა კამანდას დამშვიდებულიყო. ამ ჩვენების შემდეგ შმიდტმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მან ახსნა თავისი პოლიტიკური შეხედულებანი.

პეტერბურგი, 13 თებერვალი. გადაიცვალა ცნობილი კომპოზიტორი არსენსკი. გაიხსნა ლექციები პორველ უმაღლეს თავისუფალ სასწავლებელში, რომელიც წინათ პროფესორ ლესგაფტის კურსებათ ითვლებოდა.

პეტერბურგი. გრაფ სოლსკის თავმჯდომარეობით შემუშავებულ იქნა პროექტი სახელმწიფო სათათბიროში აკმოლინსკის, სემიპალატინსკის ურალისა და ურგაის ოლქებიდან წევრების ამორჩევისა. განზრახულია ოლქზე თითო კაცი აირჩიონ. ქალაქის მობინადრე მცხოვრებთ, რომელნიც არა რუსებისა და კაზაკებს არ ეკუთვნიან, ნება აქვთ თითო წევრი აირჩიონ ოლქზე, ურალის და ციმბირის კაზაკები ირჩევენ თვითეულ წევრს სათათბიროსას. ხსენებულ ოლქებს სულ 9 წევრი ეყოლებათ სათათბიროში.— ვერხნეუდინსკში სამხედრო საველე სასამართლომ 10 თებერვალს გაასამართლა 13 რკ. გზის მოსამსახურე, 4 კატორღა გადაუწყვიტა, 5 სიკვდილით დასაჯა. გენ. რენენკამფმა 4 სიკვდილით დასჯა კატორღაზე შეუცვალა, 5 დასაჯეს უკვე. ტროიცკოსავსკში შეიპყრეს მთელი მედგენილება გლეხთა უფროსების კრებისა.

პეტერბურგი, 13 თებერვალი. არტილერიის საწყობიდან მოიპარეს 14 ფუთიანი ზარბაზანი.

ვარშავა. საჩქაროთ წავიდა პეტერბურგს გენ.-გუბერნატორი სკალონი.

ვაშინგტონი შანხაის გენერალური კონსული იუწყება, გუშინ განჩანგში მოჰკლეს 6 იეზუიტი ფრანგი და ორი ამერიკელი. ჩინეთის ჯარი სცავს მისიონერებსა და კუძანში გაქცეულებს, საითკენაც გაიგზავნა ამერიკის კანონერკა. შანხაიში სულ სიმშვიდეა.

თეოდოსია. 12 თებერვალს, ღამით, სტაროკრიმსკის ქალაქის სამმართველოდან მოიპარეს კასის უთი. დაიკარგა ათასი მანათი და დოკუმენტები.

ქერჩი. სამოსამართლო პალატის გარდაწყვეტილებით შეჩერებულ „იუჟნი კურიერ"-ის მაგიერ გამოვა „იუჟნი ვესტნიკ"-ი.

ვლადივოსტოკი, მიშჩენკოს მოსვლის შემდეგ დამშვიდდა აქაურობა.

თეირანი, 14 თებერვალი. სპარსეთის პრესა აფრთხილებს მთავრობას, არ დაუახლოვდეს ინგლის-რუსეთს, რასაც შედეგათ სპარსეთის დანაწილება მოჰყვება, ურჩევს შემოიღოს სახელმწიფო რეფორმები ინგლისის მზგავსად. კოვეიტის შეიხმა მურად-ბეგმა უარი სთქვა ინგლისელების მიერ შემოღებულ დროშაზე და აღმართა წითელი დროშა ნახევარ-მთვარით, რაც სულთანთან სოლიდარობას მოასწავებდია.

პეკინი. გარეშე საქმეთა სამინისტროს წევრების სხდომაზე დაადგინეს შეკითხვა გაუგზავნონ ამერიკის მთავრობას ფილიპინებზე ჯარის გაგზავნის შესახებ და განუცხადოს, რომ მთავრობა ჩქარობს უოველგვარ არეულობას მხარეში აღკვეთოს და ვარსავე გადაწყვეტილებას გაუგზავნიან ფცხოუთში მყოფ ჩინეთის წარმომადგენლებს.

მოსკოვი. მოსკოვის გუბერნატორმა მოუწოდა მუშებს ისეთი წარმომადგენლები აირჩიეთ რომელნიც სამშობლოში მშვიდობიანობისა და წესიერების ჩამოგდების მომხრენი იქნებიანო.— ღამით დასწვეს გიროდოვოი, რომელმაც უარი სთქვა თურმე, ბოქაულს ბინის ჩვენებაზე.

ვარშავა. სამხედრო სასამართლომ ჩამოახრჩობა გადაუწყვიტა სამს მუშას, რომელთაც საერობო დარაჯების მოკვლა ედებოდათ ბრალად.

ელისავეტგრადი. გომბერტის მაღაზიას დაეცა 6 შეიარაღებული კაცი, უწოდეს თავიანთ-თავს ანარქისტები და წაიღეს 215 მან. მძარცველები ვერ აღმოაჩინეს.

ომსკი. დახურეს ტიუკალინის სამეურნეო საზოგადოება. თავმჯდომარე და სეკრეტარი დაატუსაღეს.

მიტავა. ძლიერ გახშირდა უღბო პასპორტები. გაიცა ბრძანება, რომ გლეხებმა უსათუოდ ჩააბარონ ძველი პასპორტები და მიიღონ ახლები.

პეტერბურგი. ტყუილია „ნოვოე ვრემია"-ს ცნობა, ვითომც რუსეთში პრუსიისეური სისტემა შემოღიოდეს სადღეხო ბანკის საქმეში.

უფა. ბევრს ტუსაღს ტობოლსკი გუბ. ობდორსკი მაზრაში ჰგზავნიან.

სტამბოლი. მიავარმა ინსპექტორმა ხიდმოფამმ გადასწყვიტა რეფორმები გაჰგზავნოს იმ ადგილებში, სადაც ალბანელების მოძრაობაა. ალბანელები რიზა-ბეის შეწყნარებას ითხოვენ.

კალუგა. პერემიშლში დაიწვა ერობის სახლი მთელის ქონებითა და საქმეებით.

ირკუტსკი. ლინევიჩი წავიდა. 13 თებერვალს, ღამით, დიდს ქუჩაზე დომით მოჰკლეს სადგურ ირკუტსკი-მისოვსკაიას კომენდანტის თანაშემწე ბარონი კორფი.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

14 თებერვალი

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემია" იუწყება, მინისტრთა საბჭომ წარადგინა სახელმწიფო საბჭოში ახალი კანონ პროექტი ბეჭდვით სიტყვის შესახებ დამატებით წესებისა. ეს კანონპროექტი ეხება, უმთავრესად, სტამბის პატრონთ, რომელთათვის წესდება სხვა და სხვა სასჯელი: პერიოდულ ორგანოების გამოცემაზე პასუხის მგებელი იქნება არა გამომცემელი, არამედ ის სტამბა, სადაც დაიბეჭდება ეს ორგანო; თუ ერთხელ დაარღვია ეს წესები, 300 მ. იქნება დაჯარიმებული; თუ გაიმეორა, ფულით დაჯარიმების გარდა, მესტამბეს ჩამოერთმევა უფლება სტამბის ქონისა ანა და აეკრძალება გამომცემლობა 5 წლის განმავლობაში. თუ რომელიმე გამოცემა სასამართლომ შეაჩერა, იმ შემთხვევაში შეჩერებულ გამოცემის პატრონს ეკრძალვის ახალი გამომცემლობა სასამართლოს მიერ საქმის გარჩევამდე. თუ სასამართლო დაამტკიცებს, რომ შეჩერებულ გამოცემის პატრონი განაგრძობდა გამომცემლობას პირადათ ან ვინმეს შემწეობით, მაშინ სასამართლოს შეუძლია 300 მან. დააჯარიმოს და დაატუსაღოს იგი არა უმეტეს 1 წლისა და 4 თვის ვადით.

სახელმწიფო საბჭოს სეკ-ბაასი ჰქონდა ჩვენის დავალიანებისა და მომავალ ახალ სესხის შესახებ. როგორც გამოირკვა, მიმდინარე წლის 1 იანვრამდე სახელმწიფოს ჰქონია 8 მილიარდი, 113 მილიონი, 246,680 მან. =⁰⁄₀=405.662.300р., или 5% = 1/5 государ. доходов

„ნოვ. ვრემია"-სავე სიტყვით რუსეთში დატუსაღებულთა რიცხვი 17,000 და არა 72,000, როგორც აღნიშნული იყო ზოგიერთ გაზეთში.

„სლოვო" იუწყება, უმაღლეს წრეებში ხმები დადის, ჩქარა გამოვა მანიფესტი, რომლის ძალით განთავისუფლებულ იქნებიან ყველა პოლიტიკური ტუსაღები და გაუქმდება სიკვდილით სასჯელი.

ვაჭრობისა და მრეწველობის მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი გაფიცვების შესახებ არ მოეწონა მინისტრთა საბჭოს და ამიტომ მას სახელმწიფო საბჭოში აღარ წარადგენენ.

პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა განუცხადა პროფესორთ მილიუკოვსა, კირეევსა და ჰესენს, რომ კონ.-დემოკრატების ცენტრალურ ბიუროს დახურვა გაუგებრობით მოხდა და რომ იგი დაუყოვნებლივ მიიღებს ბიუროს გასახსნელად. კონ.-დემოკრატების ყველა რაიონული კრებები პეტერბურგში აკრძალა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

კონ.-დემოკრატების გამოეყო ერთი ჯგუფი, რომელიც აარსებს ახალს პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც სახელად დემოკრატიულ რეფორმების პარტია ერქმევა. მიზეზი გამოყოფისა ისაა, რომ ჯგუფს არა სურს დაემორჩილოს კონ.-დემოკ. პარტიის დისციპლინას, პროგრამული განსხვავება შემდეგია:

1. ორ პალატიანი სისტემა; 2. ცალკე ოლქების ავტონომია, როგორც გამონაკლი; 3. დანამდვილებითი გადაჭრა აგრარული საკითხისა.

თებერვლის მეოცე რიცხვებში გამოვა ახალი გაზეთი კონ.-დემოკრატებისა „ნაროდ ი სვობოდა." რედაქტორებად იქნებიან მილიუკოვი და ჰესენი.

პეტერბურგში მოვიდა ვარშავის გენ.-გუბერნატორი სკალონი, რასაც კავშირი უნდა ჰქონდეს პოლონეთში განსაკუთრებულ ზომების მოხსნასთან.

სევასტოპოლი. დღეს მოხსნეს საალყო წესები. ძალაში დარჩა სამხედრო წესები. ჩუხნინის ავადმყოფობის გამო შტაბის უფროსობას ციხ. კომენდანტი ასრულებს.

სიმფეროპოლი. გუბერნატორმა წინადადება მისცა საგუბერნიო საერობო გამგეობას დაუყოვნებლივ გადააყენოს სამსახურიდან პოლიტიკურ საქმეზე დატუსაღებული მოსამსახურენი.

მინსკი. ვილნოში მომხდარ სიონისტთა კრებაზე დაადგინეს, იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე ადესაში სრულიად რუსეთის სიონისტთა კრების ნებართვაზე.

ბრესტლიტოვსკი. ვისოკო-ლიტოვსკში თავს დაესხნენ ექიმ კოლოსოვსკის და წაართვეს 600 მან. და ძვირფასეულობა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ბ. ჯაბადარი**

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ იძლევა იჯარით ქალაქის **ქარვასლა** შიოევისეული (მე-6 საპოლიციო ნაწილში, აბანოებთან) და **დუქნები** ვერის მოედანზე. პირობათა გაგება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, გამგეობის მე-4 განყოფილებაში. (6.—2—2)

ფორტეპიანო

ისყიდება 90 მანეთად

მიხეილის ქუჩა, № 90, კბილის ექიმთან. ნახვა და მოლაპარაკება ყოველ დღე ნაშუადღევის 2-დან 4-მდე. (5—2)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კაპ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—ბოეშა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ნელდ, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	—
II და III ტომი თითო	1	—
ილ. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	—	80
სოფლის კუნძულ, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1896 ნიჟნი-ნოვგოროდი.

ალოშებ ა

8113.246000
5
405,662300

და რეზინის სხვა ნაწარმისათვის

უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიზის გამოფენაზე

მიიღეს რუსეთში მხოლოდ

ამხანაგობამ

რუსეთ-ამერიკის

მანუფაქტურისას

პეტერბურგში,

1860 წელს

...ნის კალოშების ...ს ძირს, ხარისხის ... მოთავსებულია ... ნიშანი, ... ამხანაგობის დაარსების წელიწადი „1860" და სიტყვა **„С.-Петербургъ"** წითელ სამკუთხედში (ფაბრიკის ნიშანი).

ნარდად ვაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელერი"

... მოსკოვს, რიგას, პეტერბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, ტაშკენტს და ტფილისში.

1906 г. ОТКРЫТА ПОДПИСКА **1096 г.**

на историческій журналъ

„БЫЛОЕ"

Журналъ будетъ издаваться подъ редакціей В. Я. Яковлева-Богучарскаго и П. Е. Щеголаева, при ближайшемъ участіи В. Л. Бурцева.

Журналъ внѣпартійный и посвященный исторіи освободительнаго движенія въ Россіи. Издаваться онъ будетъ по слѣдующей программѣ:

1) Статьи и изслѣдованія по исторіи освободительнаго движенія въ Россіи.
2) Біографія дѣятелей движенія, воспоминанія о нихъ, ихъ собственные мемуары, дневники, письма, статьи, стихотворенія и проч.
3) Документы и другіе матеріалы, касающіеся движенія.
4) Отдѣльные факты и эпизоды изъ исторіи движенія.
5) Историческая библіографія.
6) Современная лѣтопись (регистрація главнѣйшихъ фактовъ современнаго движенія.

Въ журналѣ будутъ помѣщаться портреты дѣятелей освободительнаго движенія и рисунки, изображающіе различные эпизоды изъ исторіи движенія.

Въ журналѣ принимаютъ участіе:

М. А. Антоновичъ; кн. А. М. Аргутинскій-Долгоруковъ; М. Ю. Ашенбреннеръ; В. Я Богучарскій; В Л. Бурцевъ; И. П. Бѣлоконскій; С. А. Венгеровъ; В. В. Водовозовъ; М. О. Гершензонъ; В. С. Голубовъ; Л. Я. Гуревичъ; Н. С. Джабадари; С. Я. Елпатьевскій; А. И. Иванчинъ-Писаревъ; С. А. Ивановъ; Д. А. Клеменцъ; А. А. Корниловъ; В. Г Короленко; В. Ф. Костюринъ; Е. Д. Кускова; М. К. Лемко; Г. А. Лопатинъ: О. С. Любатовичъ; Е. А. Ляцкій; В. П. Махновецъ (Акимовъ); П. М. Милюковъ; Н. А. Морозовъ; Н. П. Павловъ-Сильванскій; Л. Ф Паттелѣвъ; М. Р. Поповъ; А. П. Прибылева Корба; А. С. Пругавинъ; С. Г. Сматиковъ; В. И. Семевскій; А. В. Тырковъ; М. Ф. Фроленко; кн. Д. И. Шаховской; П. Е. Щеголевъ; В. М. Хижняковъ; В. Е. Якушкинъ и проч.

Журналъ будетъ выходить, начиная съ января 1906 года, ежемѣсячно книжками, въ 20 печатныхъ листовъ каждая.

Цѣна съ пересылкой и доставкой: на годъ—8 руб., на 1/2 года—4 руб., на 3 мѣс. 2 руб.

Подписка принимается въ конторѣ журнала: С.-Петербургъ, Спасскій переулокъ. домъ 5, кв. 1. Книгоиздательство „Донская Рѣчь".

Адресъ редакціи: Спасская улица, д. 25, кв. 20. Для личныхъ объясненій съ редакторами—ежедневно (кромѣ праздниковъ) отъ 2 до 3 час. дня.

Редакторы { В. Я. Богучарскій.
П. Е. Щеголевъ.

Издатель Н. Е. Парамоновъ.
(Ә.—5—3)

ბეჭდავს „წიგნების გამოც. ქართვ. ამხ."-სა. განჯის დიდი ქუჩ. ტელეფონი № 372